# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი 1997 №132 (497) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთხზე მეტი აღარ გავუშვათ!

# აუუ!

აუუ! ამახლა თუ ვიტყვით, რადგან უკვე თავს აღშფოთების უფლებას ვეღარ ვაძლევთ.

აუუ! რადგან ამას თითქოს ყველასგან ველოდებით. ყველაში კი ყველა იგულისხმება „დინამოს“ გარდა.

აუუ! რადგან ჩვენი ჩემპიონის იმედი აღარ გვაქვს, მაგრამ რაკი საქართველოს უძლიერესი კლუბია, მაინც ვქომაგობთ.

აუუ! რადგან მას მხოლოდ სოფლის გუნდების გამწარება თუ ძალუძს.

აუუ! რადგან „მოლდევთანაც“ თავს წინასწარ ვერ ვიმშვიდებთ.

აუუ! რადგან დაბეჩავებულ მოსკოვის „ტორპედოსთან“ სტუმრად მოგების შემთხვევაც გვიჭირს.

აუუ! რადგან „ბაიერის“ დახაცინი ისევე გხდებით, როგორც „კრუზეიდერსი“ — ჩვენი.

აუუ! რადგან გაგვათახსირეს პორტუგალიის მეორეხარისხოვანმა გუნდებმა.

აუუ! რადგან აღარავინ თამაშობს ჩვენზე მონოტონურ, ნელ ფეხბურთს.

აუუ! რადგან აღარავინ თამაშობს ჩვენსავით უთავდამსხმელოდ.

აუუ! რადგან აღარავინ ჩუქნის მოპოვებულ ბურთს ასე აშკარად მეტოქეს.

აუუ! რადგან აღარავინაა, ზედიზედ სამ პასს რომ ვერ აბამს.

აუუ! რადგან ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიც კი, თვიდან თვემდე რომ ვერ ხვდება ამ ბიჭებს, მათ უკეთ ათამაშებს.

აუუ! რადგან ყველა უნიჭოს ჩვენთან უნდა გაუვარდეს სახელი.

აუუ! რადგან „ბრაგაც“ „ერთი გუნდი“ იყო.

აუუ! რადგან „დინამოს“ მოზირთანაც გაუჭირდა.

აუუ! რადგან არავინ იცის, როდემდე იქნება ასე.

აუუ! თუმცა მარტო „აუუ!“ ამ საქმეს აღარ უშველის...

ბრაგა

„პრიმო დე მაიო“

21 ოქტომბერი

**ბრაგა 4:0 დინამო**

ბრაგა: ვოზნიაკი, არტურ ჟორჟე, აზევედუ, ლინუ, ფორმოსო, იდალესიუ, ბრუნო, როდრიგაუ (ბალთაზარი 75), მოზერი, ტონი, კაროგლანი (გამბოა 82)

დინამო: ზოიძე (ქანტურია 46), ცქიტიშვილი, ჩხაიძე, ლობჟანიძე, დიდავა, კილაძე, გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (გოგობერიშვილი 70), გოგიჩაიშვილი, მუჯირი (ხომერიკი 60)

1:0 როდრიგაუ (23), 2:0 ტონი (55), 3:0 კაროგლანი (66), 4:0 ბრუნო (77)
გაფრთხილება: კალაძე, გოგიჩაიშვილი, არტურ ჟორჟე, კაროგლანი
მსაჯი: უზუ არონი (რუმინეთი)

# კრება დარჩა მხიარული?

ბოლო ორი ჩემპიონატია, არ უმართლებს ჯონი ჯანელიძეს. შარშან მის „კახეთს“ 5 ქულა ჩამოაკლეს გულშემატკივრების მიერ მსაჯის შეურაცხყოფის გამო. წელსაც იგივე განმეორდა: ამჯერად უკვე „მერანის“ მწვრთნელს ასეთივე განაჩენის მოსმენა მოუხდა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე. მსაჯით უკმაყოფილო გულშემატკივრები ელგუჯა სილაგავას მოედანზე შეუვარდნენ და მარტო მუშტების ქნევა არ იკმარეს, ერთი-ორი არბიტრს მოხვდა კიდეც. ყველაფრის თავი და თავი კი ორი მერანელის — ალადაშვილისა და ინიაშვილის გაძევება შეიქნა, რამაც გუნდის თავკაცთა და გულშემატკივართა აზრით, „მერანის“ „ბათუმთან“ დამარცხება გამოიწვია. თბილისელები კი თვლიდნენ ასე, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ვნებათაღელვით აღსავსე კამათის შემდეგ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღეს — „მერანს“ 5 ქულა ჩამოაკლეს, ერთი საშინაო შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გადაუტანეს, ალადაშვილი ერთი მატჩის გამოტოვებით დასაჯეს, ინიაშვილი — ასევე ერთით და 50 ლარითაც გაუთხელეს ჯიბე, ხოლო ბუხრიკიძეს სილაგავას პანღურისთვის წლის ბოლომდე მოუწევს თამაშების ტრიბუნიდან ცქერა.

იხილეთ მეორე გვერდი

## ჩვენები ყოჩაღობენ

ბუდაპეშტში, მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოასპარეზე ჩვენიანთაგან კობა გოგოლაძე იმათგანია, ვისიც უფრო ეიმედებათ კრივის ჩვენებურ დამფასებლებს. კობაც ჯერჯერობით ტყუილად არ იქნევს მუშტებს: 60-კილოგრამიანთა შეჯიბრების წილისყრამ პირველივე მეტოქედ ძველი, კარგად ნაცნობი და ძლიერი ესტონელი ალბერტ სტარიკოვი არგუნა. გოგოლაძის უპირატესობა დიდი არა, მაგრამ უეჭველი იყო — 8:5. მეორე მეტოქე, კოლუმბიელი ხოსე კრუზ ლასო კი კობამ აშკარად დაჩაგრა — 14:3. ჩვენი გუნდის კიდევ სხვა წევრთაგან იგორ ძაგოევმა რუს ლებზიაკთან წააგო, გიორგი კანდელაკმა კი მეოთხედფინალში კანადელი ბერგერონი სცემა — 7:3.

## ჩემპიონთა ლიგა.
მესამე ტური. 22 ოქტომბერი

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**პარმა 1:0 დორტმუნდი**

პარმა: ბუფონი, ზე მარია (მუსი 76), ბენარივო, კანავარო, ტურამი, სენსინი, დ. ბაჯო, კრიპა, სტრადა (სტანიჩი 76), კრესპო, კიეზა (ფიორე 88)
დორტმუნდი: კლოსი, ფროინდი (მერლიხი 79), ჟულიო სეზარი, როიტერი, ფაიერზინგერი (ცორკი 87), ჰაინრიხი, კოლერი, ბუტი, სოუზა, მიოლერი, შაპუიზა
1:0 კრესპო (62)

„პარმამ“ ევროთასებზე ზედიზედ მე-15-ე საშინაო გამარჯვება მოიპოვა.

**სპარტა 3:0 გალათასარაი**

სპარტა: პოსტულკა, რეპკა, ნემეჩეკი, ჰორნაკი, სვობოდა, ნოვოტნი, ლოკვენცი, გაბრიელი (ჩიფრანიკი 85), ჰაშეკი, ბარანეკი (ობაჟდინი 77), ზიგლი
გალათასარაი: კილიმცი, ვედატი, პოპესკუ, არიფი (ერგუნი 46), ფილიპესკუ უმითი, ილიე (ბულენთი 69), ჰაქან უნსალი, ჰაჯი (ჰაქან შუქური 46), ფათიჰი, თუგაი
1:0 ზიგლი (34), 2:0 გაბრიელი (66), 3:0 ობაჟდინი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### B ჯგუფი

**მანჩესტერი 2:1 ფეიენოორდი**

იუნაიტედი: შმაიხელი, ირვინი, გ. ნევილი, პალისტერი, ფ. ნევილი, ბათი, ბექემი, გიგზი, სქოულზი, კოული (სოლსკიაერი 81), შერინგემი
ფეიენოორდი: დუდეკი, პიკუნი, შუიტემანი, გრაფი, ვან ვონდერენი, ვან გობელი, ვან გასტელი, ბოსველტი, სანჩესი (ბოატენგი 76), ვან ბრონკჰორსტი (კორნეევი 38), კონოლი (ვოსი 72)
1:0 სქოულზი (32), 2:0 ირვინი (72 პ), 2:1 ვოსი (82)

ძირითადად დაჩაგრულმა „ფეიენოორდმა“ თამაშის ბოლო წუთებში მოიკრიბა ძალა, თუმცა „იუნაიტედმა“, რომელსაც მინიმუმ ათი საგოლე მომენტი ჰქონდა, სამი ქულა ჩაიწერა.

**კოშიცე 0:1 იუვენტუსი**

კოშიცე: მოლნარი, სპილარი, ტელეკი, კოზაკი, ძურიკი, იანოჩკო, ტოტი (ბოხნოვიჩი 88), კოზლეი, სემენიკი (რუსნაკი 79), ზვარა, სოვიჩი (ლიუბარსკი 27)
იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 38), დიმაში, ბირინდელი, პესოტო, დი ლივიო (პეკია 33), ჯულიანო, ტაკინარდი, კონტე, ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი
0:1 დელ პიერო (34)

დელ პიერომ საჯარიმოდან დაბალი დარტყმით მარცხენა ძელთან გაიტანა. „კოშიცემ“ იტალიელები სწრაფი კონტრშეტევებით გააოცა. „იუვეს“ მეკარე პერუცი იმდენად სუსტი იყო, რომ პირველ ტაიმშივე შეცვალეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ფეიენოორდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| კოშიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### C ჯგუფი

**დინამო 3:0 ბარსელონა**

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი (ვოლოსიანკო 57), ვაშჩუკი, გოლოვკო, დმიტრულინი, გუსინი, კალიტვინცევი, კოსოვსკი, მაქსიმოვი (მიხაილენკო 84), შევჩენკო, რებროვი
ბარსელონა: ჰესპი, ფერერი, ფერნანდო კოუტუ, ოსკარი (ბუსკეტი 60), სერხი, რაიციგერი, როჯერი, ლუის ენრიკე, ფიგუ (ჩირიჩი 82), როჯერი, დუგარი (პიცი 80)
1:0 რებროვი (6), 2:0 მაქსიმოვი (32), 3:0 კალიტვინცევი (65)
გაძევება: ჰესპი (60)

დიახ, ვალერი ლობანოვსკი მოტეხილა, ძველებურად სკამზე ველარ ქანაობს და ვერც ბეჭედს ატრიალებს თითზე ისე, ბრეჟნევის დროს რომ ატრიალებდა. ის კი არა, კიეველთა მწვრთნელი ნელ-ნელა თავადაც ბრეჟნევს ემსგავსება, მაგრამ ჭკუა ძველებურად უჭრის და ესაა მთავარი. ლობანოვსკის ფეხბურთი რომ ცალკე ფენომენია, ალბათ მსოფლიოს ერთ-ერთი უტიტულოვანესი კლუბი „ბარსელონაც“ დაგვეთანხმება. მე-6 წუთზე რებროვი მეტოქის საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა და მახვილი კუთხიდან ესპანელთა მეკარე ჰესპს უცნაურად მოჭრილი მაღალი ბურთი დაურტყა. ეს რებროვის მესამე გოლი იყო ლიგის მესამე თამაშში. 32-ზე მასპინძლების მძლავრი და სწრაფი შეტევის შედეგად მეორე გოლი გავიდა: რებროვის დარტყმული კოუტუმ აისხლიტა, ბურთი უმეთვალყურეო მაქსიმოვს მიუვიდა, რომლის დარტყმაც შედეგიანი იყო.

მეორე ტაიმის მთავარი მოვლენა 60-ე წუთზე მოხდა: ჰესპი საჯარიმოს გარეთ გამოვარდა და კიეველ თავდამსხმელს უკანასკნელი იმედი „წაართვა“. ჰესპი გააძევეს, მის ნაცვლად კარში ბუსკეტი ჩადგა, რომელსაც პირველად იმ ჯარიმიდან ხარიხას გაურტყეს, 65-ზე კი კალიტვინცევმა გაუტანა.

**ეინდჰოვენი 1:0 ნიუკასლი**

პსვ: ვატერეუსი, ვამპეტა, სტამი, ფაბერი, ნუმანი, პეტროვიჩი (მიოლერი 80), იონკი, კოკუ, დე ბილდე, ნილისი (ბრუგინკი 80), ივანი (სტინგა 63)
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი (ალბერი 80), ბერესფორდი (ქეცბაია 66), უოტსონი, ბეტი, პიკოკი, ჰაუი, ლი, გილესპი, რაში, ტომასონი
1:0 იონკი (38)

ჰოლანდიის ჩემპიონმა ჩინებულად ითამაშა და დაუფასდა კიდეც. გამოირჩეოდნენ ნილისი და ივანი. მეორე ყვითლები მიიღეს ბეტიმ და ლიმ და შემდეგ თამაშს გამოტოვებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბარსელონა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

### D ჯგუფი

**როზენბორგი 2:0 პორტუ**

როზენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, სტრანდი (ვინსნესი 56), ბერგი, სკამელსრუდი, რუშფელდტი, ბრატბაკი, იაკობსენი (დაჰლუმი 78), ჰეგემი
პორტუ: კორეია, პაულინიუ სანტუში, ალოიზიო, ფერნანდო მენდეში, ჟოზე ბაროსუ, რუი ბარუში, ლულა, კოშტა, ჩიპო, არტური, ჟარდელი
1:0 რუშფელდტი (10), 2:0 ბრატბაკი (37)
გაძევება: ჩიპო (69)

**რეალი 5:1 ოლიმპიაკოსი**

რეალი: კანისარესი, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ხაიმე ფერნანდესი, ზეედორფი (ვიქტორი 81), რედონდო, ზე რობერტო (ამავისკა 71), რაული, მორიენტესი (მანუელ სანჩისი 77), შუკერი
ოლიმპიაკოსი: ტოჩოროლოღუ, მანდოვიჩი, ანატოლაკისი, პურსუნიდისი (გეორგატოსი 87), კარატაიდისი, ჯორჯევიჩი, პასალისი, დებიზასი, კარაპიალისი (ნინიადისი 72), მავროგენიდისი, ოფორი კუაე
0:1 დაბიზასი (18), 1:1 შუკერი (33 პ), 2:1 მორიენტესი (44), 3:1 შუკერი (67 პ), 4:1 ვიქტორი (85), 5:1 რობერტო კარლოსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| როსენბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### E ჯგუფი

**ბეშიქთაში 1:0 გიოტებორგი**

ბეშიქთაში: მრმიჩი, ზაფერი, რეჯეფი, ერქანი, ტაიფური, იანკოვი, სერდარი, ოქთაი, ერთუგრული, ამოკაში (ლეჩკოვი 46), მეჰმეთი
გიოტებორგი: რაველი, იოჰანსონი, ლუკიჩი, ალექსანდერსონი, პეტერსონი, ნილსონი, მარტინსონი (კარლსონი 62), ერლინგმარკი, ანდერსონი (ტეტე 69), ერიქსონი (ექსტრიომი 79), ლინდკვისტი
1:0 ოქთაი (6)

**ბაიერნი 5:1 პსჟ**

ბაიერნი: კანი, ჰელმერი, ბაბელი, კუფური, ჰამანი (ფინკე 72), ბასლერი (ციკლერი 74), ნერლინგერი, ტარნატი, შოლი, იანკერი (რიციტელი 75), ელბერი
პსჟ: რევო, ფურნიე (ალჟერინო 60), როში, ლე გუენი, დომი (ლასერი 46), ლერუა, ნგოტი (რაბესანდრატანა 53), გავა, რაი, მორისი, სიმონე
1:0 ელბერი (4), 2:0, 3:0 იანკერი (20, 47), 3:1 სიმონე (48), 4:1 ჰელმერი (50), 5:1 ელბერი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| ბეშიქთაში | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პსჟ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| გიოტებორგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### F ჯგუფი

**მონაკო 5:1 ლიერსი**

მონაკო: ბარტეზი, პინიოლი, კონჩიჩი, დუმა (ირლე 46), სანიოლი, დიეტუ, ლევინსკი, კოლინზი (ნდორამი 77), ბენარბია, იკპება (ტრეზეგე 77), ანრი
ლიერსი: ვანდე ვალე, ბროკენი, ვან მეირი, ეფტევაატი, სკავონე (ვან დე ვეიერი 73), ლეენი, ზიობელი, ვან კერკჰოვენი, ჰაგდორენი (სერნელსი 73), ჰუისტრა, ჰაზენჰუტლი (უვიგბე 80)
1:0 ანრი (33), 2:0 კოლინზი (51), 2:1 ვან მეირი (60), 3:1 იკპება (66), 4:1, 5:1 ტრეზეგე (87, 90)

**სპორტინგი 0:2 ლევერკუზენი**

სპორტინგი: დე ვილდე, კიმი, ბეტო (რამირესი 75), მარკო აურელიო, ვინიციუსი, ჟოზე ვიდიგალი, სიმაუ, პედრო მარტინში (ნე ნე 53), ლანჟი, მუსტაფა ჰაჯი (ბრუნო 37), ლეანდრო
ლევერკუზენი: ჰაინენი, ლიოტნერი, ვოორნსი, ჰაპე, ლენმოფი, ემერსონი (ჟივკოვიჩი 85), რამელო, ბაინლიხი, ჰაინცე, მეიერი, კირსტენი (ფრიდეკი 85)
0:1 ბაინლიხი (68), 0:2 ემერსონი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ლიერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

# კრება დარჩა მხიარული?

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

დასჯილ მერანელთაგან ფედერაციაში მხოლოდ აღელვებული ზაზა ინიაშვილი მისულიყო: „შემიძლია დავიფიცო, რომ სილაგავასთვის არ შემიგინებია და არც შეურაცხყოფა მიმიყენებია. მხოლოდ ვუთხარი, ასე რაიონში იმსაჯებ-მეთქი. ჯერ ყვითელი მიჩვენა, მერე კი გამაგდო. არადა, თავად ამბობს, რომ შევაგინე. მე რომ მტყუანი ვიყო, აქ არ მოვიდოდი. ის იმდენად დაბნეული იყო, რომ ვერ გაერკვა ვითარებაში. მინდა, დიდუბის ეკლესიაში წავიდეთ და ორივემ ხატზე დავიფიცოთ, ვინ არის ჩვენში მტყუან-მართალი. თანაც, სანამ მაჭუტაძე პირისპირ გავიდოდა, რის შემდეგ გაგვაძევეს კიდეც, ბათუმელებმა წესი დაარღვიეს. ჯერ ქორიძეს ეუხეშნენ, მერე — ცქიფურიშვილს. ასე რომ, მიმაჩნია, სილაგავამ „მერანი“ წაგებისთვის გაწირა.“

ელგუჯა სილაგავა: „მე არ მსურდა ვითარების დაძაბვა და ამიტომ ინიაშვილს მხოლოდ ყვითელი ამოვუღე, მაგრამ მან გინება კვლავ გააგრძელა და იძულებული გავხდი, გამეძევებინა. მას შემდეგ ცუდად ვარ. ფსიქატრიულში ვიყავი, თავზე რენტგენი გადამიღეს, ღამე გონება დავკარგე და ვერ ვსუნთქავდი.“

ჯონი ჯანელიძე: „გადაწყვეტილებას არ ვეწინააღმდეგები, თუმცა, ფეხბურთელთა და გულშემატკივართა აღშფოთება არცთუ უსაფუძვლო იყო. მთავარი ის იყო, რომ სილაგავა რამდენიმე ეპიზოდში არაობიექტურად მოიქცა. მაგრამ დიდ კაცთან პატარას როდის გასვლია მართალი? ახლა ფიფამ აკრძალა მოედნების შემოღობვა, ჩვენთან კი ორმაგი მავთულ-ხლართები ყოფილა საჭირო. ისე, ჩემი თხოვნაა, მსაჯებმა მეტი ობიექტურობა გამოიჩინონ და წინასწარ დაკვეთას ნუ დაემორჩილებიან. ეს ყველა მსაჯს ეხება. ერთი და ორი შეცდომა მაყურებელს ვერ გაანერვიულებს, გუნდის დაჩაგვრის მცდელობა კი სულ სხვაა. თანაც, ესეც ხომ გასათვალისწინებელია — ჩვენი ფეხბურთელები ყოველი საშინაო მარცხისთვის 150 ლარით ჯარიმდებიან. შემოსავლის უსამართლოდ წართმევა კი ვის გაუხარდება? „მერანის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ დაინახა მოთამაშეთა თავდადება და ეს სასჯელი არ გამოიყენა. ფეხბურთელების მიმართ, დასჯილთა გარდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის“.

ფეხბურთის ფედერაციაში სპორტნაგებობებისა და სტადიონების მდგომარეობის შეფასება მერაბ იაშვილს ეხება: „ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე, როდესაც ვნახე „სინათლის“ სტადიონი, ოფიციალურ მოხსენებაში მისი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად შევაფასე. მაგრამ მაშინ „მერანის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ მთხოვა, ცოტა ხანი გვაცალეთ და „მარაკანას“ ავაშენებთო. მანამდე 30 მეტრზე, მსაჯთა ოთახიდან მოედნამდე, ბადეები გააბით, არბიტრები დაცულები რომ იყვნენ-მეთქი. ეს თხოვნა არ შეასრულეს და ეს უსიამოვნო ამბავიც ამის შედეგი იყო.

კარგად გაიხსენეთ, წლიდან წლამდე ძირითად სად ხდება აყალმაყალი და მსაჯზე გაწევ-გამოწევა? ბოლნისის, ავჭალის, „შევარდენისა“ და ზოოვეტის სტადიონებზე. ჩემი მოთხოვნაა, აღნიშნულ სტადიონებზე მსაჯთა და ფეხბურთელთა დაცვის ელემენტარული ნორმები შესრულდეს. არადა, არაფერი კეთდება საამისოდ. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ველოდოთ, ნავაძე როდის ააშენებს „მარაკანას“? მანამდეც ხომ იგივე განმეორდება. მერე უკვე მკაცრად მოვიქცევით. ჩვენი მოთხოვნების შესასრულებლად აღნიშნული სტადიონების მფლობელთ წლის ბოლომდე მივცემთ დროს და თუ მაინც არ გამოასწორებენ მდგომარეობას, მაშინ იქ თამაშები არ ჩატარდება, ანაც ჩემს თანამდებობას დავტოვებ.“

სადისციპლინო კომიტეტმა „ტორპედო“ — „ოდიშის“ შეხვედრის დასრულებისას მომხდარი ინციდენტიც განიხილა. განაწყენებულმა ზუგდიდელმა თოლორდავამ ლაინსმენ თოდუაზე გაიწია, მაგრამ საკამათო შეიქნა, შეეხო თუ არა მსაჯს. მთავარმა მსაჯმა მერაბ მალალურაძემ ბრძანა, სტადიონზე შუქი არ იყო და ვერ დავინახე, რა მოხდაო. თავად თოდუამ კი — თოლორდავამ მხოლოდ გამოიწია, დარტყმით არ დაურტყამსო. თქმით კი თქვა, მაგრამ ზუგდიდელმაც მერანელი ბუხრიკიძის ბედი გაიზიარა და წლის ბოლომდე დაისაჯა. თუმცა, „ოდიშის“ პრეზიდენტმა ვახტანგ ნანავამ ბრძანა, ფედერაციას რომც არ დაესაჯა თოლორდავა, ამას ჩვენ გავაკეთებდით, ფეხბურთელს ასეთი საქციელი არ შეშვენისო. მეორე ოდიშელი ბრალდებული პაატა ლურსმანაშვილი კი სამ შეხვედრას გამოტოვებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოდიშელთა საქმის გარჩევას სულ რალაც 15 წუთი დასჭირდა, გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე „მერანისას“.

...სხდომა გვარიანი სიცილ-ხორხოცით დამთავრდა. ყველაზე მეტად, წარმოიდგინეთ, „მერანის“ მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე ხუმრობდა, 5 კი არა, თუ გინდათ, 15 ქულა დამაკლეთო, თუმცა, ბოლოს სერიოზულად თქვა, ნეტავ მართლა კარგ ხასიათზე ვიყო, ახლა ჩემს გულშიც ჩაიხედეთო. კრების მონაწილენი კი კარგ განწყობაზე ნამდვილად ვერ იქნებოდნენ. ლოგიკურიც არის, „მარაკანას“ აშენებამდე ხომ ჯერ კიდევ შორია.

**მერაბ მამულაშვილი**

## 10 ტური

### მოვლენა

#### გაძევებათა სიჭარბე

იშვიათია ერთ ტურში ამდენი მოთამაშის გაძევება. ყველაფერი კი „მორკინალ“ — „ლოკომოტივის“ მატჩით დაიწყო. აქ მორკინალი დავით ცომაია გააძევეს მისი აზრით უსამართლოდ დანიშნული პენალტის უცენზურო გასაჩივრებისთვის. ეს 18 ოქტომბერს მოხდა, მეორე დღეს კი „სინათლეზე“ „ბათუმთან“ თამაშისას ორი მერანელი გააძევეს: ედიშერ ალადაშვილი ბოლო იმედის ჯარიმისთვის, ინიაშვილი კი ისევ კამათისთვის. 20 ოქტომბერს ქუთაისში იფეთქა მსაჯის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილო რეაქციამ. ოდიშელმა პაატა ლურსმანაშვილმა ჩათვალა, რომ ხუთი წუთის წინ ტორპედოელთა მესამე გოლი თამაშგარედან გავიდა და გვერდით მსაჯ თოდუას მიაფურთხა. ლურსმანაშვილმა ამით ძალით გააგდებინა არბიტრ მალალურაძეს თავი.

### მოულოდნელობა

#### ტორპედო 4:1 ოდიში

ამ ტურში მოულოდნელი შედეგი სხვაც იყო. თუნდაც ასეთივე ანგარიშით „მეტალურგისგან“ გურულთა ძლევა რად ღირს, ანაც საყაიმო თბილისური დერბი და მაინც სენსაციაა მანამდე წაუგებელი, პირველ ტურს აქეთ გოლგაუშვები „ოდიშის“ დიდი ანგარიშით წაგება. ეს ყველაფერი 8 წუთში მოხდა, პირველი სამი გოლი „ტორპედომ“ მეათედან დაწყებული, მე-17 წუთის ჩათვლით გაიტანა. „ოდიშს“ ამ თამაშში ლიბერო გაუგდეს, მაგრამ მარცხს გაძევებას მაინც არ აბრალებენ, რადგან იმ მომენტისთვის უკვე 0:3 აგებდნენ. ერთია, რომ „ოდიშისგან“ ასეთ მარცხს არ მოელოდნენ და მეორე თავად ქუთაისელთა მონდომებაა. ზუგდიდელთა შეჩერება იმ გუნდმა იტვირთა, შინ „მორკინალს“ და „მარგვეთს“ რომ ვერ აჯობა.

### სკანდალი

#### მერანი 1:2 ბათუმი

ასეთი რამ კარგა ხანია, არ ყოფილა. არა, მსაჯზე გაწევა, წყვილად გაძევება და მაყურებელთა გავეშება როგორ არ გვახსოვს, მაგრამ... აქ საქმე ლამის ტრაგედიამდე მივიდა: ნერვებმოშლილ არბიტრს ელგუჯა სილაგავას კეფაზე კაპილარი გაუწყდა და ბედად გადარჩა, თანამსაჯ ვახტანგ ჩოჩიშვილს კი უცნობი პირი მიეჭრა და უთავაზა, მაგრამ ხურდა რომ მიიღო (თავზე ალამი გადაატყდა), მერე კი შეეშვა. არანაკლები მოხდა მატჩის შემდეგაც, როცა მსაჯთა დაცვა „მერანის“ პრეზიდენტს თავად მოუწია. მოკლედ, „მერანმა“ ხუთი ქულა დაკარგა.

### გმირი

#### მამუკა რუსია

თსუ-მ ჩემპიონატი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ ბოლო დანაკარგებით საქმე ოდნავ გაირთულა. სამაგიეროდ, ამჯერად მამუკა რუსიას დუბლით წინა ტურში ფოთში „კოლხეთის“ მძლეველ „დილას“ გასვლაზე მოუგო.

### ანტიგმირი

#### პაატა ლურსმანაშვილი

სტადიონზე მოწევას ვერავინ აკრძალავს, და მაინც, ხომ გინახავთ გამაფრთხილებელი ფირნიში — „ნუ მოსწევთ!“. მგონი, დროა, სტადიონის შესასვლელთან სხვა რამ წავაწეროთ — „მსაჯი ურნა (ან ბურთი) არაა!“, „ნუ ჩააფურთხებთ მსაჯს სულში, ნუ დაარტყამთ მას თავს“. ეტყობა, ასე მოქცევა საჭიროა, თორემ ქუთაისში ლურსმანაშვილმა თანამსაჯის ფურთხებისთვის არბიტრს თავი ხომ გააგდებინა და ამით, მართალია, 0:3-ზე, მაგრამ მაინც თავისი გუნდი დაალალატა.

უჭირს, ძ...იან უჭირს „მარგვეთს“. სეზონიც გუნდმა ძალიან რთულ ვითარებაში, თითქმის ცარიელი ჯიბეებით დაიწყო, მაგრამ იყო იმედები: იმედი რაიონის გამგეობისა, იმედი ფეროშენადნობთა ქარხნის მმართველი კომპანიისა და ათასი სხვა ვინმესი. ყველა დაპირება ერთ მშვენიერ დღეს კვამლივით გაჰქრა. „მარგვეთმა“ კი, საეჭვოა, გააგრძელოს ასპარეზობა მიმდინარე ჩემპიონატში — ამბობს ზესტაფონელთა გუნდის უფროსი გია ღიბრაძე.

# გია ღიბრაძე: მე გუნდს ვერ მოვწამლავ!

— გუნდმა სეზონისწინა მზადება ჩემპიონატის სტარტამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. „მარგვეთი“ თითქმის ყველა ფეხბურთელმა დატოვა. ჩვენ, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიხდა. ძველი შემადგენლობიდან, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, შევძელით ოთხი ფეხბურთელის დაბრუნება.

**— ახალ გუნდს რომ აყალიბებდით, ფაქტობრივად უპატრონოებს რისი ან ვისი იმედი გქონდათ?**

— პირველ რიგში, ადგილობრივი მმართველობის გამგეობის. ასეა ყველა ქალაქსა თუ რაიონში, სადაც ფეხბურთის გუნდი არსებობს. უდიდესი სირცხვილი იქნებოდა, ისეთი ტრადიციების ქალაქის გუნდს, როგორიც ზესტაფონია, საერთოდ ვერ მიეღო მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში. ეს ქალაქის ხელმძღვანელობის უნიათობაა. გამგეობა დაგვპირდა, თქვენ ოღონდ დაიწყეთ და ჩვენ ყოველმხრივ გვერდში ამოგიდგებითო. ჩვენც დავაკმაყოფილეთ მათი თხოვნა და პირველსავე თამაშზე ისევ ჩვენ მოგვიხდა ფულის სასესხებლად სირბილი.

**— როგორ უნდა დაგხმარებოდათ გამგეობა?**

— რაიონის გამგებელი, ბატონი ჯემალ გორგოძე დაგვპირდა, ფეროშენადნობთა ქარხანას დაგაკავშირებთო. დროც დაითქვა, ჩვენც ბევრი ვითმინეთ, ვიცადეთ და დათქმულმა დრომ ისე განვლო, საქმე ადგილიდან არც დაძრულა. გუნდში კატასტროფული მდგომარეობაა. მომდევნო თამაშზე თსუ-სთან ვერ გავემგზავრებით. გუნდი ეკონომიკურადაც და მორალურადაც მთლიანად განადგურებულია. წინასწარ ვუხდით ბოდიშს ფეხბურთის ფედერაციას. იცის ღმერთმა, ჩვენი ბრალი არ არის. მე გუნდს ვერ მოვწამლავ, უნდა გვაპატიოს ყველა ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა.

**— თუ არსებობდა შექმნილი სიტუაციიდან რაიმე გამოსავალი?**

— ჩვენ იმთავითვე მივხვდით, რომ გამგეობა არაფრის გამკეთებელი იყო, ამიტომ შევეცადეთ, გუნდის გადასარჩენად რაიმე თანხები მოგვეძებნა, ანაც პრეზიდენტი მოგვეწვია. ვიპოვნეთ კიდეც ასეთი პიროვნება, ეს კაცი ზესტაფონის ერთ-ერთი ბანკის მმართველი გახლდათ. მაგრამ მოხდა სასწაული... მის პრეზიდენტად არჩევას წინ აღუდგა რაიონის ხელმძღვანელობა.

ამის შემდეგ თხოვნით მივმართეთ საფეხბურთო წრეებში საკმაოდ ცნობილ პიროვნებას, ბატონ ნუგზარ მდივანს, რომელმაც თითქმის გადაჭრა კლუბის ყველა პრობლემა. ეს სააქციო საზოგადოება „ფეროსა“ და ს.კ. „მარგვეთის“ დაკავშირებაში გამოიხატა. კიდევ ერთი აუცილებელი პირობა რაიონის ხელმძღვანელთა თანადგომა იყო. მიაღწიეს კიდეც სამმხრივ შეთანხმებას ქარხანამ, გამგეობამ და ბატონმა მდივანმა, მაგრამ ეს შეთანხმება ისევ ჰაერში გამოკიდებული დარჩა. მე მგონი ჩვენ არც ვარსებობთ, ეს არც კლუბია და არც არაფერი.

**— გამოდის, რომ კლუბი დაიშალა?**

— ასეა. ჩვენ დიდი ხანია დაშლილი ვართ, ვთამაშობთ ცარიელი ენთუზიაზმით. არადა, პირობები რომ იყოს, არავისზე ნაკლები გუნდი არ გვეყოლებოდა, თამაში ნამდვილად შეგვიძლია. მეც და მწვრთნელიც ფეხბურთელებით კმაყოფილნი ვართ, როგორც მათი თამაშით, ასევე მათი ადამიანობით და მოთმინების უნარით. მაგრამ ისტორია მეორდება. ასეთი სიტუაცია ზესტაფონისთვის არახალია. იმ სეზონის წინ, როცა „მარგვეთმა“ უეფას თასის საგზური მოიპოვა, იყო შემთხვევა, რომ გუნდი გამგეობამ და მისმა შეგირდებმა ჩაიბარეს, რასაც მოჰყვა „მარგვეთის“ საკმაოდ წარუმატებელი თამაში, და იგი როგორც დღეს, გავარდნის კანდიდატი იყო. ამ დროს ჩვენ შემოვკარით ზარები, დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით ეს პიროვნებები დავითხოვეთ და ბატონ ვასილ ხაჭაპურიძის ძალისხმევით მშვენიერ შედეგს მივაღწიეთ. ეს კი ბევრს ძალიან არ ესიამოვნა.

**— ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდი ღვაწლი დასდეთ ამ გუნდს. ისიც ვიცით, რომ სამი დღით დაკავებული იყავით შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.**

— ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ზესტაფონის ფეხბურთის მოურჩენელი სენია. იმ პერიოდში, როცა აღმავლობის გზაზე ვიდექით, ბევრი ის ოპოზიციონერი, ვინც გვერდზე დარჩა, ხელს გვიშლიდა და როცა მათ მიმართ პროტესტი გამოვხატე და სიმართლე ვთქვი, ჭკუის სასწავლებლად შინაგან საქმეთა განყოფილების იზოლატორში აღმოვჩნდი, სადაც სამი დღე დავყავი...

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ზურაბ არჩვაძე „ბათუმში“ დაბრუნდა

„მერანის“ ყოფილი მცველი ზურაბ არჩვაძე შარშან საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ საბერძნეთს გაემგზავრა და II დივიზიონის „დოქსა ვირონაში“ ჩაირიცხა. საკუთარ მენეჯერთან და „დოქსა ვირონას“ თავკაცებთან შექმნილი პრობლემების გამო ახლახანს მან გუნდი დატოვა. მენეჯერი ქართველ ფეხბურთელს პირველი წრის შემდეგ საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონის „ათინაიკოსში“ გადასვლას ჰპირდებოდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ატყუებდა: არჩვაძის „დოქსაში“ დარჩენის შემთხვევაში მენეჯერი გვარიანად ისარგებლებდა, თუმცა, არც მანამდე ყოფილა ჯიბე გაფხეკილი — სათაო თანხიდან ქართველს დრაჰმაც არ მიუღია. თავი რატომ მოვატყუებინოო, იფიქრა არჩვაძემ და საქართველოში დაბრუნდა. მას „ლოკომოტივი“ და „ბათუმი“ სთავაზობდნენ გადასვლას, მაგრამ ეს უკანასკნელი ამჯობინა, გუნდის ხელმძღვანელებსაც მოელაპარაკა და უკვე ბათუმს გაემგზავრა კიდეც.


**Milan, Ajax, Boca Juniors, Real, Sao Paulo, Borussia...**

ეს და მრავალი სხვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე აშშ-ში 1998 წ.

**DALASS CUP XIX**

ფაქსი-ავტომოპასუხე 52 13 96. საბუთების შემოტანა სასწრაფოა

სარეკლამო სააგენტო
**კოკი და კომპანია**

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56


წყალტუბო
„26 მაისი“
20 ოქტომბერი

**სამგურალი 3:0 მაღაროელი**

სამგურალი: ბოზოხიძე, დ. ქელიძე, ზ. ვაშაკიძე, კალუაშვილი, გ. ჯანელიძე, მაგნიძე, გიორგობიანი, სუხიაშვილი (ქუთათელაძე 81), თევდორაძე (ფრანგიშვილი 70), ხურცილავა, გელაშვილი (კ. ჯანაშია 53)
მაღაროელი: გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი (ჩიკვილაძე 75), ასანიძე, მ. გაბრიჭიძე (ბ. შეყილაძე 86), ტეფნაძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მენაბდიშვილი (ლოლაძე 46)
1:0 სუხიაშვილი (8), 2:0 ჯანელიძე (25), 3:0 სუხიაშვილი (75)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

## მეორე ჯგუფი

მე-11 ტური. ასკ — სამეგრელო 5:2; აკადემია — ცხინვალი 5:2; სქური — მერცხალი 3:1; საპოვნელა — ივერია 1:5; თორი — ჯუბა 1:1; კოლხეთი — მეშახტე 2:0; იბერია — იმერეთი 3:1; ფაზისი — კოდაკო 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 11 | 10 | 1 | 0 | 37:7 | 31 |
| ივერია | 11 | 8 | 1 | 2 | 37:13 | 25 |
| აკადემია | 11 | 7 | 3 | 1 | 32:15 | 24 |
| კოლხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:16 | 23 |
| ჯუბა | 11 | 6 | 3 | 2 | 18:11 | 21 |
| სქური | 11 | 7 | 0 | 4 | 22:22 | 21 |
| თორი | 11 | 6 | 2 | 3 | 26:14 | 20 |
| მერცხალი | 11 | 6 | 1 | 4 | 20:19 | 19 |
| ცხინვალი | 11 | 6 | 0 | 5 | 30:19 | 18 |
| ფაზისი | 11 | 5 | 0 | 6 | 23:27 | 15 |
| მეშახტე | 11 | 3 | 1 | 7 | 16:18 | 10 |
| კოდაკო | 11 | 3 | 0 | 8 | 13:31 | 9 |
| სამეგრელო | 11 | 2 | 1 | 8 | 13:31 | 7 |
| იმერეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 15:43 | 4 |
| საპოვნელა | 11 | 1 | 0 | 10 | 9:34 | 3 |
| იბერია | 11 | 2 | 0 | 9 | 12:29 | 1 |

## მესამე ჯგუფი

დასავლეთი

მე-7 ტური. ოდიში 2 — ბათუმი 2 1:0; ტორპედო 2 — ეგრისი 0:1; შუქურა — სალხინო 2:0; სულორი — ოქროს საწმისი 0:5; გაგრა — ენგური 0:1
გამოტოვებული მატჩი. ოქროს საწმისი — ბათუმი 2 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 7 | 5 | 2 | 0 | 13:3 | 17 |
| ეგრისი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:7 | 16 |
| შუქურა | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| ოქროს საწმისი | 6 | 3 | 0 | 3 | 12:7 | 9 |
| გაგრა | 6 | 2 | 2 | 2 | 13:9 | 8 |
| ტორპედო 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| სამგურალი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:12 | 8 |
| ოდიში 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| ბათუმი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| სალხინო | 6 | 1 | 1 | 4 | 8:14 | 4 |
| სულორი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:24 | 0 |

ცენტრი

მე-6 ტური. ვარძია — დილა 2 1:2; თსუ 2 — მრეტები 3:0; დინამო 2 — ბაია ქასქი 3:0; მესხეთი — ჟინერი 5:2, 35 სტუ — ლოკომოტივი 2 0:0
გამოტოვებული მატჩები. დილა 2 — ჟინერი 1:1; დინამო 2 — ვარძია 10:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:8 | 10 |
| დილა 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| ჟინერი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 |
| დინამო 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 20:5 | 10 |
| მრეტები | 6 | 2 | 0 | 4 | 8:16 | 6 |
| ვარძია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:17 | 5 |
| 35 სტუ | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| ბაია ქასქი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:9 | 4 |

აღმოსავლეთი

მე-6 ტური. ალგეთი — იბერია 2:1; ყვარელი — შირაქი 1:1; ალაზანი — სამგორი 0:4; თელეთი — ხალიბი 0:3 (თელეთი არ გამოცხადდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| იბერია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 12 |
| შირაქი | 6 | 3 | 2 | 1 | 16:6 | 11 |
| ალგეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| სამგორი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:11 | 9 |
| ალაზანი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ხალიბი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:4 | 6 |
| ჭაბუკიანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:11 | 0 |
| თელეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:26 | 0 |


ბავშვთა საფეხბურთო კლუბი
**„ოლიმპიკი“**

აცხადებს 1983-90 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას
მიღება დაიწყება 22 ოქტომბრიდან.
მსურველები მობრძანდნენ 14-დან 18 საათამდე
მისამართი: დიღმის ხეივანი, 10 (ბავშვთა II საავადმყოფოსთან)

# დაუმარცხებელი „ინტერიც“ არაა

UEFA CUP

## უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

პორტუგალიაში გაწკეპლილ „დინამოს“ თუ არ ჩავთვლით, უეფას თასის გათამაშებას „ქართული“ გუნდებიდან ამსტერდამის „აიაქსიღა“ ჰყავდა შემორჩენილი. შოთა არველაძისა და მის თანაგუნდელებს „უდინეზე“ უწევდა წინააღმდეგობას. უდინეს გუნდს იტალიური ლიგის უმაღლესი დონის წარმომადგენელთა რიცხვს ალბათ ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი კლასი ეჭვგარეშეა: აიაქსელებმა თავიანთ „ამსტერდამ არენაზე“ 1:0 გაიმარჯვეს.

— ძალიან ნიშვნელოვანია, რომ გოლი არ გავუშვით — თქვა ამასთან დაკავშირებით ჰოლანდიელების დანიელმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა.

ოლსენმა ამ შეხვედრაში უძლიერესი შემადგენლობა ვერ ათამაშა, არ ჰყავდა დაშავებული ბაბანგიდა და ლაუდრუპი, რომელთა ნაცვლად პორტუგალიელი დანი და ჰუქსტრა ირჯებოდნენ. გამარჯვების გოლი სწორედ დანიმ შეაგდო: იარი ლიტმანენის პასით კარიდან 7 მეტრში მდგომმა თაურით მიაღწია საწადელს. ეს დანის მეოთხე ევროგოლი გახლდათ „აიაქსის“ შემადგენლობაში.



აიაქსი — უდინეზე. დანი მატჩის ერთადერთ გოლს ხარობს

ამსტერდამელ მიმომხილველთა აზრით, „უდინეზესთან“ ჩატარებული პირველი ტაიმის დარად „აიაქსს“ ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია. ამაში მასპინძლებს ტაქტიკურმა ნიუანსმაც შეუწყო ხელი. საქმე ისაა, რომ იტალიურმა გუნდმა დაცვაში ცენტრში გამწკრივებული სამი ფეხბურთელი ათამაშა, რამაც გარემარბებს — დანისა და ჰუქსტრას — ფლანგებზე სანავარდო სივრცე შეუქმნა. შესვენებამდე მასპინძლებს სულ მცირე ექვსი საგოლე მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან სამი შოთა არველაძის მეცადინეობის შედეგი იყო, მაგრამ „უდინეზეს“ გოლკიპერის ლუიჯი ტურჩის ოსტატობამ ტაბლოს ოპერატორს მუშაობის საშუალება არ მისცა. საპასუხოდ, სტუმართა გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბორჰოფმა 43-ე წუთზე კინალამ გაქვითა — მისი თაური მიზანს აცდა. მეორე ტაიმში იტალიელებმა დაცვის რეორგანიზაციას მიჰყვეს ხელი და „აიაქსის“ შეტევათა ფეიერვერკიც ჩაცხრა, თუმცა თამაშის მიწურულს ლიტმანენს მაინც შეეძლო მეორე გოლის შეგდება — ტურჩიმ ამჯერადაც ივარგა.

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ფ. დე ბური, ოლისე, ლიტმანენი, ვიჩზე, რ. დე ბური, დანი, არველაძე (ბენი 75), ჰუქსტრა

უდინეზე: ტურჩი, ჟენო, კალორი, ბერტოტო, ჰელვეგი, ჯანიკედა, ვალემი, კაპიოლი (დიგნაციო 69), ამოროზო (ლოკატელი 56), ბირჰოფი, პოჯი (ჰაზემი 81)

უეფას თასის მფლობელმა „შალკემ“ კაპიტნის, ოლაფ ტონის გოლის წყალობით ბრიუსელის „ანდერლეხტი“ დაამარცხა. საპასუხო შეხვედრაში გერმანელებს დიდი ბრძოლა მოელით, არადა, სამშაბათს შექმნილი მომენტები უკეთ რომ გამოეყენებინათ, გაცილებით იოლი ამოცანა ექნებოდათ გადასაჭრელი. „შალკეს“ ფეხბურთელთაგან, მეექვსე წუთზე ჰოლანდიელი რენე აიკელკამპი იყო ძალიან ახლოს მიზანთან, შემდეგ თომას ლინკემ თაურით სულ ოდნავ გადააცილა ხარიხას, მიხაელ გუსენსმა კი მარჯვნივ გადააგდო ბურთი. უიღბლობათა სერია ტონმა გაწყვიტა. მან რადოსლავ ლატალისა და მარკ ვილსოტსის გაშლილი კომბინაცია გოლით დაასრულა.

— დღეს ფეხბურთის ფესტივალის მოწყობა გვინდოდა, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება მოგვიხდა. მართალია ბევრი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ შეჯიბრებაში პირველი გოლის გაშვების საშიშროებაც გვქონდა და ამიტომაც ვთვლი, რომ წუწუნისა და ჩივილის საბაბი არ გვაქვს — განაცხადა ერთადერთი გოლის ავტორმა.

„ანდერლეხტი“, რომელიც ბელგიის მიმდინარე პირველობაზე საკმაოდ უხეიროდ ასპარეზობს, თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში ინიციატივაწართმეული გახლდა, მაგრამ მაინც ანგარიშში ჩასათვლელი მხარე იყო. მისმა უკრაინელმა თავდამსხმელმა ოლეგ იატრუკმა 30 მეტრიდან კინალამ თავზე გადაუგდო ბურთი „შალკეს“ კარიდან წინგასულ მეკარეს იენს ლემანს. თამაშში სხვა სახიფათო მომენტებიც შეიქმნა: ბელგიელთა ლიბერომ კატანამ 53-ე წუთზე შორიდან დაარტყა, 71-ზე კი შალკელმა თომას დოლმა მარცხენა ძელს გაარტყა.

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეორე და მესამე გოლიც უნდა გაგვეტანა — თქვა გერმანული გუნდის მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა.

გასული გათამაშების ფინალისტმა მილანის „ინტერმა“ ფრანგულ „ლიონს“ უმასპინძლა და სეზონის პირველი მარცხიც იწვნია. „ლიონი“, ეტყობა, იტალიური გუნდების ძლევის სპეციალისტია — მან ხომ ორი წლის წინ „ლაციო“ გამოთიშა იმავე შეჯიბრებიდან.

პირველი ნახევარი საათის შემდეგ მილანელებმა შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ ვერ მოზომეს, მეტისმეტად წინ წასვლა ინდომეს და ზურგი მოიშიშვლეს. მატჩის შემდეგ „ინტერის“ მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ განაცხადა:

— დიდებული სტარტი ალბათ იმიტომ არ გამოგვივიდა, რომ ფეხბურთელები დაღლილები იყვნენ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო და მთელი მეორე ნახევარი კარგად ვითამაშეთ. მოთამაშეების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს.

„ლიონმა“ სწრაფი, აგრესიული ფეხბურთი ითამაშა და საწყის 20 წუთში „ინტერზე“ აქტიურიც იყო. სწორედ იმ მონაკვეთში შეეძლო კაველიას ანგარიშის გახსნა: იგი მცველებს დაუსხლტა და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბადეს გარედან მოარტყა ბურთი. 21-ე წუთზე უიღბლობამ „ინტერთან“ გადაინაცვლა: რონალდომ მეურვე ჩამოიცილა და მახვილი კუთხიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ ბურთმა შორეულ ძელს სულ რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუქროლა. გამოხდა 60 წამი და სტუმრებმა გოლი გაიტანეს — კაველიამ ფილიპ ვიოლოს პასს ლონიერი თაური დაახვედრა, „ინტერის“ მეკარე პალიუკამ ვერაფერი გააწყო, ბურთი ძელს მოხვდა და უმეთვალყურეოდ დარჩენილ ჟიულის ეახლა, რომელმაც მიზანს აღარ ააცილა. 25-ე წუთიდან მილანელები მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდნენ. ამის ნიშანი მშობლიური ქალაქის გუნდის წინააღმდეგ მოთამაშე იური ჯორკაეფის აცილებული ჯარიმა გამოდგა. „ინტერი“ მთელს მოედანს დაეპატრონა და შორეული დარტყმებით ორი ხიფათიც შექმნა. თავიდან სარტორმა დაიქუხა და კინალამ ხარიხა ჩამოაგდო, შემდეგ კი რონალდომ სცადა ბედი, მაგრამ მეკარე კუპემ აულო. რონალდოს და კუპეს მორიგი ორთაბრძოლა ისევ ფრანგი მეკარის გამარჯვებით დამთავრდა, არგენტინელმა დიეგომ სიმეონემ კი ტაიმის მიწურულს ვერ გაიტანა.

შესვენებისას სიმონიმ ცვლილებები განახორციელა, სიმეონეს ბრაზილიელი ზე ელიასი ამჯობინა, ფრეზის კი — განცი. თამაშის განახლება ისევ მასპინძელთა შეტევების მაუწყებელი აღმოჩნდა, თუმცა ფრანგთა დაცვა შეუვალი გახლდათ. საგანგებოდ მეთვალყურეობდნენ რონალდოს. ისევ ყოჩაღობდა „ლიონის“ მეკარე. ერთ ეპიზოდში კუპე რონალდოს ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი უკუაგდო, მაგრამ დაინახა, რომ ის ისევ მეტოქეს მიუვიდა, განმეორებით დარტყმას გოლკიპერი კარის ხაზთან მიწვდა, შემდეგ კვლავ წამოხტომა მოასწრო და ჯორკაეფსაც გადაუღობა გზა.

გამოსავალს განცმა მიაგნო. მას მერე, რაც ზე ელიასმა ჯორკაეფს გრძელი პასი მიაწოდა, ფრანგმა კი თაურით განცი ხეირიან პოზიციაზე გაიყვანა, მან მეკარე არად ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. ერთი ხნის შემდეგ ისევ რონალდოს მოეცარა ხელი და... 20 ათასმა გულშემატკივარმა ამოიოხრა: „ლიონმა“ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, ვეტერანმა ბერგომიმ ჟიული ვერ შეიკავა, ჟიული პალიუკასაც გაექცა, მაგრამ იტალიელმა მეკარემ წააქცია. პენალტის დარტყმისას კაველია არ აღელვებულა — პალიუკა მარჯვნივ გადახტა, ბურთი კი მარცხნივ, დაბლა შევარდა.

ბოლო სახიფათო მომენტი ისევ „ინტერის“ იყო. იტალიურ გუნდში შეცვლაზე შესულმა ფრანგმა ბენიო კუპემ თანამემამულეებს დაურტყა, მაგრამ კუპემ ისევ დიდებულად ითამაშა.

იზეიმა კიდევ ერთმა ფრანგულმა გუნდმა. „სტრასბურმა“, რომლისგანაც „ლივერპულის“ ძლევას არავინ ელოდა და თასის გათამაშებას შემორჩენილი ხუთი ფრანგული კლუბიდან გასავარდნად განწირულ ორს შორის „სარბიელმაც“ მოიხსენია, ალბიონელ სტუმრებს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ჩავიხედოთ ისტორიის წიგნში: 20 წლის წინ საფრანგეთში ჩასულ „ლივერპულს“ „სენტ ეტიენმა“ 1:0 მოუგო, 1991-ში „ოსერმა“ მას ორი გოლის სხვაობით აჯობა, გასულ სეზონში კი „პარი სენ ჟერმენმა“ 3:0-ს მიაღწია. ამრიგად, ინგლისელები უკმაყოფილონი არ უნდა დარჩენილიყვნენ, 0:4 რომ არ წააგეს. 18 ათასი გულშემატკივარი დაესწრო ქომაგების მიერ „მისტერ ევროპად“ მონათლული დავიდ ზიტელის ორ და დენი კონტეს ერთ წარმატებას ლივერპულელთა კარში.

— საქმე ისაა, რომ ჩვენ თავდაცვა არ შეგვიძლია, გუნდი ერთიანად ვერ მოქმედებს, გოლებს ვუშვებთ და ვუშვებთ. დროა ამას ბოლო მოეღოს. ფეხბურთი ხანდახან ილუზიებს ამსხვრევს. ასე ვარ მე დღეს — ალიარა „ლივერპულის“ მწვრთნელმა როი ევანსმა, რომელსაც, მიუხედავად ილუზიათა მსხვრევისა, ორი კვირის შემდეგ შინ, „ენფილდ როუდზე“, 4:0 გამარჯვების იმედი გადაწურული სრულებითაც არ აქვს — გამორიცხულია, ჩვენ პირსახოცს არ ვისვრით. უნდა ვირწმუნოთ, რომ ჯამში გამარჯვება შეგვიძლია, თავს ბევრი რამ უნდა ვაიძულოთ.

ორი გოლის გატანა შეძლო კიდევ ერთმა ფრანგმა, სტეფან გივარშმა, რომლის „ოსერმა“ ბერძნულ „ოფი კრეტას“ 3:1 მოუგო. გამარჯვების მიუხედავად, მასპინძლები ერთობ უკმაყოფილონი დარჩნენ. მათი მოწინააღმდეგე მსაჯმა ორი ფეხბურთელით შეამცირა, ცხრა მოთამაშიან გუნდთან კი „ოსერს“ მეტი ანგარიშით გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. ანგარიში ბერძნებმა გახსნეს. გოლი გუნდის კაპიტანმა ნიკოს ნიოპლიასმა გაიტანა და საერთოდაც, პირველი 30 წუთის განმავლობაში კრეტელები უფრო სოლიდურნი ჩანდნენ. შემდეგ კი დაიწყო... ბერნან დიომედის წაქცევისთვის ოფის მეკარე კოსტას ჩანიოტაკისი გაუძევეს მოედნიდან, 87-ე წუთზე კი წითელი ბარათის ძალით მოედანი დასტოვა მათმა მცველმა ანდრეას სკენცოსმაც და ბერძნებმა მესამე გოლი გაუშვეს. მესამე, ისევე როგორც მეორე, 61-ე წუთზე გასულ სეზონში საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირმა გივარშმა გაიტანა, გათანაბრებით კი „ოსერის“ ფეხბურთელებმა მე-15 წუთზე ანტონი სიბირსკის თაურით გაათანაბრეს.

ბერძენთა მეორე გუნდმა სალონიკის პაოკმა მადრიდში მოლონიერებულ „ატლეტიკოსთან“ 2:5 წააგო. ესპანელთა ხუთი გოლიდან სამი „იუვენტუსისგან“ სეზონის წინ შეძენილმა იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ გაიტანა. პაოკმა წინა წრეში თვით ლონდონის „არსენალი“ გამოთიშა გათამაშებიდან, მაგრამ ესპანეთის დედაქალაქის წვიმიანი საღამოსა და ვიერის და კომპანიის წინააღმდეგ მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრაში, როგორც ხედავთ, ვერაფერი გააწყო. პირველი გოლი ვიერიმ ახლოდან გაიტანა და მას, სულ ცოტა ხანში, ესპანეთის ეროვნული გუნდის მოთამაშე ხორხე ლარდინომ 25 მეტრიდან აუღებელი დარტყმით მეორე დაამატა. ცოტა ხანში კონსტანტინოს ფრანცესკოსმა ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმით შეამცირა სხვაობა, მაგრამ ყველა მიმართულებით მოქმედმა ჟუნინიომ მოედნის შუაში ჯადო იხმარა და ბურთი ისე დაიმორჩილა, რომ მას შემდეგ სულ იგი და მისი მეგობრები ფლობდნენ. შემდეგ ისევ ვიერიმ იმარჯვა — საგოლე პასი კიკოსი გახლდათ, ვიერისა კი უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში მესამე გოლი. მეორე ტაიმში ვიერიმ კიდევ ერთი, ძალიან ლამაზი გოლი შეაგდო, რაშიც მიკოპულოსის უხეში შეცდომა დაეხმარა: ამან იფიქრა, ბურთს გავატარებ და ისიც მიღმა გადავარდება, შემდეგ კი კარიდან თავისუფალი დარტყმა დაინიშნებაო, მაგრამ შეცდა გოლკიპერი — ბურთი უმახვილეს კუთხესთან ვიერიმ იგდო ხელთ და მარცხენა ფეხით ანგარიში გაზარდა.

მეორე ტაიმის შუაში „ატლეტიკომ“ ყურადღება მოადუნა და სპირიდონ მარანგოსის გოლით დაისაჯა, მაგრამ კიკომ ვიერის პასით სამგოლიანი სხვაობა აღადგინა და ყვითელი ბარათიც მიიღო, რადგან სიხარულით ბურთი მაყურებლებში ისროლა.

გერმანიის ნაკრების მოთამაშე თომას ჰესლერმა ორი დიდებული საჯარიმო დარტყმით სტუმრად 2:0 დაამარცხა ფრანგული „მეცი“, ბუქარესტის „სტიაუამ“ კი 1:0 აჯობა კიდევ ერთ ფრანგულ გუნდს „ბასტიას“ — გოლი თაური დარტყმით კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ლავი ჰრიბმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ გოლის გატანამდე ორი წუთით ადრე არბიტრმა მოედნიდან გააძევა „ბასტიას“ ფეხბურთელი, პოლონეთის ნაკრების წევრი პიოტრ სვერჩევსკი.

რომის „ლაციომ“ ვოლგოგრადში „როტორს“ არც გაუტანა და არც გაუშვა. მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსები, უფრო მეტად „ლაციოს“, მაგრამ ბურთმა არც აქეთა კარის ხაზი გადაკვეთა, არც იქითასი და ახლა, საპასუხო თამაშის წინ, თეორიული შანსი ორივე გუნდს აქვს. ბურთს ძირითადად იტალიელები ფლობდნენ, თუმცა პირველი სახიფათო მომენტი ოლეგ ვერეტენნიკოვმა შექმნა. ისე, ვერეტენნიკოვი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც რუსულ ლიგაში 100-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი. მის მიერ დარტყმული ჯარიმა რომაელების კედელს გადაევლო და ის-ის იყო კარში უნდა გასულიყო, რომ მეკარე ლუკა მარკეჯანიმ თითის წვერებით კუთხურზე გადააგდო.



REUTERS

როტორი — ლაციო. რომაელი პანკარო ზერნოვს გადაახტა

მარკეჯანიმ მე-15 წუთზე 23 წლის ალექსანდრ ზერნოვს ფეხით აულო დარტყმა, რომელიც თითქოსდა უეჭველად კარში უნდა გასულიყო. „ლაციომ“ მოგვიანებით პიერლუიჯი კაზირაგის დარტყმით უპასუხა რუსების გუნდს, მაგრამ ვერეტენნიკოვმა 25 მეტრიდან მარკეჯანი ისევ ჩართო საქმეში.

შეხვედრის მთავარი უიღბლობა 38-ე წუთზე იყო. არგენტინელმა მატიას ალმეიდამ დაბალი პასი მიაწოდა რობერტო მანჩინის, რომელმაც ექვსი-შვიდი მეტრიდან ბურთს ფეხი სწორად ვერ დაახვედრა. მეორე ტაიმის დასაწყისში მანჩინი აღარ შეცდა, ნედვედის პასს სწორად დაარტყა თაური, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა. „ლაციო“ შეტევას განაგრძობდა, იუგოვიჩსაც ზედიზედ ორი შესაძლებლობა ჩაუვარდა ხელთ, მაგრამ პირველად ბურთი ოდნავ აცდა მიზანს, მეორედ კი მეკარე ზახარჩუკმა იყოჩაღა. თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მანჩინის პასი კაზირაგიმ ვერ გამოიყენა.

**ბაპუნა ქედია**

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩები. 21 ოქტომბერი

UEFA CUP

სპორტინგი (ბრაგა, პორტუგალია) — დინამო (თბილისი) 4:0

ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 0:0

სტრასბური (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი) 3:0

**1:0, 2:0 ზიტელი (20, 63 პ), 3:0 კონტე (69)**

ორჰუსი (დანია) — ტვენტე (ენსხედე, ჰოლანდია) 1:1

**0:1 სუმიალა (16), 1:1 მიოლბიუ (41 პ)**

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — უდინეზე (იტალია) 1:0

**1:0 დანი (28)**

ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) 5:2

**1:0 ვიერი (11), 2:0 ლარდინო (13), 2:1 ფრანცესკოსი (21), 3:1, 4:1 ვიერი (32, 54), 4:2 მარაგოსი (65), 5:2 კიკო (75)**

ოსერი (საფრანგეთი) — ოფი კრეტა (საბერძნეთი) 3:1

**0:1 ნიოპლიასი (16), 1:1 სიბირსკი (18), 2:1, 3:1 გივარში (49, 90)**

ბრიუგე (ბელგია) — ბოხუმი (გერმანია) 1:0

**1:0 ჟბარი (79)**

ინტერი (მილანი, იტალია) — ლიონი (საფრანგეთი) 1:2

**0:1 ჟიული (22), 1:1 განცი (69), 1:2 კაველია (80 პ)**

მეცი (საფრანგეთი) — კარლსრუე (გერმანია) 0:2

**0:1, 0:2 ჰესლერი (13, 38)**

მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — კროაცია (ზაგრები, ხორვატია) 1:0

**1:0 ლორინცი (83)**

როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) — ლაციო (იტალია) 0:0

შალკე 04 (გერმანია) — ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) 1:0

**1:0 ტონი (18)**

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — ვალიადოლიდი (ესპანეთი) 2:0

**1:0 ტიხონოვი (60), 2:0 ტიტოვი (84)**

სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — ბასტია (საფრანგეთი) 1:0

**1:0 ჰრიბი (66)**

რაპიდი (ვენა, ავსტრია) — მიუნხენ 1860 (გერმანია) 3:0

**1:0 შტიოგერი (453), 2:0 შიოტელი (64), 3:0 პენქსა (81)**

## ინგლისი

### XI ტურის ბოლო მატჩი

### ბარნსლი 2:0 ქოვენთრი

**ბარნსლი: უოტსონი, იდენი, შერიდანი, დე ზიუ, ლიდელი (ხრისტოვი 46), ბალოქი (მოუზისი 80), კრიგანი, ბერნარდი, ტომპსონი, რედფერნი, უორდი**

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ბრინი, მაკალისტერი, ბოულენდი, ლაითბერნი (იოჰანსენი 68), ჰოლი, ჰავორთი, ნილსონი, სალაკო**

**1:0 უორდი (11), 2:0 რედფერნი (66პ)**

აქამდე „ბარნსლი“ ზედიზედ ექვსჯერ დამარცხდა, მაგრამ პრემიერლიგაში პირველად მოასპარეზეებმა, როგორც იქნა, შეძლეს დათარსული სერიის შეწყვეტა. თამაში მთლიანობაში დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა, თუმცა, მომენტებში ჭეშმარიტად ინგლისური ფეხბურთი მაინც გაიელვებდა ხოლმე. სტუმრებს ამ სეზონში აქამდე ჩატარებულ ოთხ გასვლით მატჩში გოლი არ გაუტანიათ და მისი ფორვარდები ახლაც ისე უნიათოდ ირჯებოდნენ, ცხადი იყო, კვლავ ვერ შეაგდებდნენ. მასპინძელთა გოლებიდან პირველი კი მეტად ლამაზი კომბინაციის შემდეგ გავიდა — ორ მცველს შორის მოქცეულმა უორდმა ბოლომდე იბრძოლა და შეაგდო კიდეც. რაც შეეხება რედფერნის პენალტს, იგი ბალოქის წაქცევისთვის დაინიშნა. ცხადია, გამარჯვებაში წინახაზელებმა დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ „ბარნსლის“ კარის ბადე სეზონში პირველად რომ არ შეირხა, უდაოდ მეკარე დევიდ უოტსონის დამსახურებაა, რომელიც იმ დღეს 150-ედ იცავდა კლუბის ღირსებას.

### პირველი დივიზიონი

**მე-13 ტური. ბერი — ქუინზ პარკი 1:1, ქრიუ — იფსვიჩი 0:0, ოქსფორდი — მიდლსბრო 1:4, პორტ ვეილი — ჰადერსფილდი 4:1, პორტსმუთი — ბრედფორდი 1:1, შეფილდ იუნაიტედი — სტოკპორტი 5:1, სანდერლენდი — სვინდონი 0:0, ნორვიჩი — რედინგი 0:0, ნოტინგემი — ვესტ ბრომვიჩი 1:0.**

# ოღონდ ხალხს ფეხბურთს ნუ შეგვაძულებთ

ჩემპიონთა ლიგა მდიდრდება და ნაირნაირი იდეების წარმოშობას უწყობს ხელს. ამჯერად ლონდონის „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელის არსენ ვენგერისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტის კარლ-ჰაინც რუმენიგეს მოსაზრებებს გაგაცნობთ.

ვენგერის აზრით, ლიგა უკვე მზადაა საიმისოდ, რომ უძლიერეს ევროპულ ქვეყანათა სამ-სამი ან სულაც ოთხ-ოთხი გუნდი მოიცვას.

— გულახდილად რომ ვთქვა, ერთადერთი ევროპული შეჯიბრება, რომელიც მაინტერესებს, ჩემპიონთა ლიგა გახლავთ — თქვა ფრანგმა — უეფას თასი მხოლოდ დამამშვიდებელ ჯილდოდ იქცა, თასების თასი კი აღარ არსებობს. ვინ თამაშობს დღეს თასების თასზე? არავინ. თუკი ესა თუ ის გუნდი ეროვნული თასის გათამაშებაში იმარჯვებს, თასების თასზე არ ასპარეზობს, რადგან ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლით ლიგის საგზურს იძენს. ამის ჩინებული მაგალითი „ბარსელონა“ გახლავთ. მან ესპანეთის თასი მოიპოვა, მაგრამ განა ინგლისის თასის მფლობელი „ჩელსი“ მას სადმე გადაეყრება? არა, რადგან „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს. ჩემპიონთა ლიგა უმნიშვნელოვანესია, ის ევროლიგად იქცევა და ეს რომ ასეა, სამ-ოთხ წელიწადში უფრო ნათლად დავინახავთ. მისი დღევანდელი სისტემა, ოთხგუნდიანი ექვსი ჯგუფი ექვსგუნდიან ოთხ ჯგუფად რომ გარდავქმნათ, მივიღებთ, რომ მეოთხედფინალში გასასვლელად თითოეულ გუნდს ათი თამაშის ჩატარება მოუწევს. ეს ხომ უკვე მინი-ჩემპიონატი გამოდის.

ვენგერს, რომელმაც თავის დროზე საფრანგეთში იმუშავა, შემდეგ იაპონიაში, ახლა კი ინგლისშია, ეჭვი არ ეპარება, რომ ჩემპიონთა ლიგა მეტად და მეტად გაფართოვდება. როგორც გახსოვთ, ლიგამ 1992-93 წლებში 8 გუნდით დაიწყო მოქმედება, 1994-95 წლებში 16 გუნდამდე გაფართოვდა, ახლა კი 24 კლუბის შეჯიბრებაა.

— ყველაფერი ფულის გამო ხდება — ამბობს ვენგერი — ტელეშემოსავალი მთავარია, მეტი მატჩი მეტ ფულს ნიშნავს. ვგონებ, ამას იქამდე მივყავართ, რომ სულ მალე ამ შეჯიბრებაში ერთმანეთს უძლიერესი ქვეყნების არა ორ-ორი, არამედ სამ-სამი ან სულაც ოთხ-ოთხი გუნდი დაუპირისპირდება. სწორედ ეს სურს ტელევიზიას — დიდი თამაშები დიდი გუნდების მონაწილეობით. სწორედ ამიტომ დაარსდა ჩემპიონთა ლიგა. ტელეკომპანიებს არ სურთ იმის ხილვა, თუ როგორ ეთიშება გათამაშებას პირველსავე ტურში მადრიდის „რეალი“. ჯგუფური სისტემა სწორედ ამის წინააღმდეგია. ერთადერთი, რასაც უნდა ვერიდოთ, ფეხბურთის მეტისმეტი მოჭარბებაა. იქმნება იმის ხიფათი, რომ ხალხს ის უბრალოდ მობეზრდება. მე ვიცი, რომ საფრანგეთში ხალხი უეფას თასის თამაშებს აღარ უყურებს, გერმანიის ტელევიზიით კი მხოლოდ მიმოხილვები გადაიცემა. ხალხს „იუვენტუსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ან „ნიუკასლისა“ და „ბარსელონის“ თამაშების ნახვა სურს. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატებს, ვგონებ, დიდი კლუბები მასში ყოველთვის მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ რადგანაც ლიგაშიც ჯგუფური სისტემა დაინერგა, საშინაო და ევროპულ ფრონტებზე ბრძოლა სულ უფრო გაძნელდება.

ჩემპიონთა ლიგის ევროლიგად ქცევას წინასწარმეტყველებს წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი კარლ-ჰაინც რუმენიგეც.

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ევროლიგა ჩამოყალიბდება — თქვა მან — ვერ გეტყვით, ეს შვიდ წელიწადში მოხდება თუ ათში, მაგრამ პოლიტიკურ ინტერესებს აქეთკენ მივყავართ.

რუმენიგე თვლის, რომ მომავალ ევროლიგაში გუნდები მუდმივად არ უნდა ასპარეზობდნენ, იქედან უნდა ვარდებოდნენ და იქ უნდა შედიოდნენ — „წინააღმდეგ შემთხვევაში გულშემატკივრებს ინტერესი დაეკარგებათ.“

ვიცე-პრეზიდენტის აზრით, ეს ლიგა მსოფლიოში უძლიერესი იქნება და დაჩრდილავს ისეთ ლიგებს, როგორებიცაა NHL, NBA, NFL.

### შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### ევროპა

#### რუსეთი

გუნდის თავკაცმა ბორის იგნატიევმა გუნდში დააბრუნა ანდრეი კანჩელსკისი, რომელმაც კოჭის ტრავმის გამო ბულგარელებთან მატჩი გამოტოვა. ნაკრებშია „ბოლონიას“ თავდამსხმელი იგორ კოლივანოვიც. იგი თავდასხმაში სავარაუდოდ სერგეი იურანს შეეწყვილება. „რეჯანას“ იგორ სიმუტენკოვის ტრავმამ რუსთა ნაკრებში გზა გაუხსნა ვლადიმირ ბესჩასტნიხს.

მეკარეები — სტანისლავ ჩერჩესოვი („ტიროლი“), სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა); მცველები — იგორ ჩუგაინოვი, ანდრეი სოლომატინი (ლოკომოტივი), იური კოვტუნი (დინამო), იური ნიკიფოროვი (სპორტინგ ხიხონი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო), დმიტრი პოპოვი (კომპოსტელა), ახრიკ ცვეიბა (ალანია); ნახევარმცველები — დმიტრი ალენიჩევი, ანდრეი ტიხონოვი (სპარტაკი), ანდრეი კანჩელსკისი (ფიორენტინა), ოლეგ ვერეტენნიკოვი, ვალერი იესიპოვი (როტორი), ვლადისლავ რადიმოვი (სარაგოსა), სერგეი სემაკი (ცსკა), იგორ იანოვსკი (ალანია), დმიტრი ხოხლოვი (ტორპედო); თავდამსხმელები — ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი), იგორ კოლივანოვი (ბოლონია), სერგეი იურანი (ბოხუმი).

# ისინი ჩამოვიდნენ... საფრანგეთიდან

გაისად საფრანგეთი ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობით მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. მაღალი დონისთვის, ცხადია, ორგანიზებულობაა საჭირო. საამისოდ მზადება ფრანგებმა კარგა ხანია, დაიწყეს, მაგრამ ინგლისში ხულიგან გულშემატკივართა წინააღმდეგ მიმართულ სემინარზე ჩასვლაც არ დაიზარეს.

ლონდონში გამართულ სხდომაზე ფანებთან ბრძოლაში ფრანგებზე მეტად გამოცდილმა ინგლისელებმა სტუმრებს მათთან დაპირისპირების ხერხები აუხსნეს, ორი ათასი თავზეხელაღებული გულშემატკივრის აღწერილობაც გადასცეს — ვინიცობაა გამოგადგეთო. შემდეგ კი ფრანგებს დოკუმენტური კადრებიც უჩვენეს, სადაც ბრბოს უსისხლოდ დაშოშმინება იყო აღბეჭდილი. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ დამოძღვრა, ევრო-96-ზე მიღებული გამოცდილება გაუზიარა, ბოლოს კი დასძინა, ცხადია, ხულიგნებს და თავზეხელაღებულებს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ, მაგრამ მთლად ისე ნუ მოიქცევით, 11 ოქტომბერს იტალიაში რომ დაგვმართესო.

# ფულს თვლა უყვარს

ცნობები „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ასეთია: ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებთა თავდამსხმელების, ლეს ფერდინანდისა და დავიდ ჟინოლას გაყიდვით 1996-97 წლების სეზონის ბოლოს კლუბმა, ბუღალტერთა ენაზე რომ ვთქვათ, მოგება აჩვენა. ითქვა ისიც, რომ „ნიუკასლი“ ჩაბმულია მოლაპარაკებებში სატელევიზიო კომპანია BSKYB-სთან. ამ ტელეგიგანტთან უკვე მორიგდა „მანჩესტერ იუნაიტედი“, ვიცე-ჩემპიონები კი, ისეთი პირი უჩანს, მეორენი იქნებიან.

დავიწყოთ BSKYB-ს ამბით. ამ კომპანიამ პრემიერლიგის მატჩების ტრანსლირების ყველა უფლება 2001 წლამდე იდგო ხელთ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეხვედრათა პირდაპირ გადაცემებს მის გარდა ვერავინ მოაწყობს. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ BSKYB-სთან შეთანხმებით თავისი ტელეჟურნალის ჩამოყალიბების უფლება მიიღო. ახლა ამასვე ცდილობს „ნიუკასლ იუნაიტედიც“.



კენი დალგლიში ქერის ორმოშია

მოგეხსენებათ, საქმე ეხება არა ტრადიციულ მაუწყებლობას, არამედ ციფრულ, მრავალარხიან პროექტს, რომელიც მომავალი წლიდან ამოქმედდება. პროექტი იმისკენაა მიმართული, რომ მაყურებელმა თავის ტელევიზორში უცქიროს არა იმას, რასაც გადასცემენ, არამედ იმას, რასაც თავად აირჩევს და რაშიც ფულს გადაიხდის. შესაძლებელი იქნება აბონემენტის ყიდვაც ან თუ გნებავთ გაზეთის მაგვარი ხელმოწერაც. მაგალითად — მავანი იყიდის „ნიუკასლის“ ყველა თამაშის ტელეტრანსლაციის აბონემენტს და თავის ტელევიზორში მხოლოდ კენი დალგლიშის გუნდის მატჩებს იხილავს.

ისევ ფინანსებს დავუბრუნდეთ. ივლისში, საბიუჯეტო წლის დამთავრების შემდეგ, გაირკვა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მოგება, დაბეგვრის გაუთვალისწინებლად, 8,3 მილიონი გირვანქა (13,5 მილიონი დოლარი) გახლდათ. ერთი წლის წინ ასეთსავე ფურცელზე მინუს 27,6 მილიონი ეწერა. დეფიციტის მიზეზი მაშინ „ბლექბერნ როვერსიდან“ ალან შირერის 15 მილიონად ყიდვა გახლდათ. კლუბმა განაცხადა, რომ ამჟამად გარკვეული თანხა მწვრთნელის განკარგულებაში იქნება, თუმცა რამდენი, არ თქმულა.

„ნიუკასლის“ საქმეში სატრიალო ფული 42 პროცენტით გაზრდილა და 41,1 მილიონი გირვანქისთვის მიუღწევია, რაც იმას გამოუწვევია, რომ გუნდმა გასულ სეზონში უეფას თასის მეოთხედფინალამდე მიაღწია, თანაც პრემიერლიგის კლუბთა კონტრაქტები BSKYB-სთან საგრძნობლად გაძვირდა. უეფას თასზე მიღწეულმა პროგრესმა 3,6 მილიონიანი მოგება მოიტანა. ახლა თემურ ქეცბაიას კლუბი იმედოვნებს, რომ თუ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში იმავე სტადიას მიაღწევს, ამ გზით მიღებული შემოსავალი მეტი გახდება.

გარდა ამისა, „ნიუკასლ იუნაიტედის“ დირექტორებმა განაცხადეს, რომ ისინი ქალაქის საბჭოსგან ახალი, 55 ათასიანი სტადიონის აგებაზე თანხმობას ელიან. გუნდის ახლანდელი სარბიელი „სენტ ჯეიმსიზ პარკი“ მხოლოდ 36 ათას მაყურებელს იტევს და ამიტომ ათასობით გულშემატკივარი უბილეთოდ რჩება. დაგეგმილი, ახალი სტადიონის მშენებლობა 65 მილიონ გირვანქას მოითხოვს. მომავალში კიდევ 25 მილიონი „სენტ ჯეიმსიზ პარკის“ მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობილ კომპლექსად ქცევას დასჭირდება. მიუხედავად გეგმათა სიდიდისა, ქალაქის ვაილენიან პირთა ერთი ჯგუფი მათი მოწინააღმდეგეა. მათ ნიუკასლის ცენტრისთვის ძველი იერსახის შენარჩუნება სურთ.

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** „დეპორტივომ“, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონი ბებეტო საკმაო თანხით დააჯარიმოს. ლაკორუნიელები ბრაზილიელის შესყიდვას სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ლამობდნენ. შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ ესპანეთში ჩაფრენილმა ბებეტომ მოულოდნელად სამშობლოსკენ იბრუნა პირი, ფეხბურთელის ასეთმა მოქმედებამ კი კლუბის ხელმძღვანელობა ძლიერ აღაშფოთა.

**რუსი იგორ შალიმოვი, „ბოლონიაში“ რომ თამაშობს, დაახლოებით ორი თვით ჩამოშორდება ფეხბურთს. ბოლო ტურში, „პარმასთან“ 0:2 წაგებულ მატჩში, შალიმოვი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, თუმცა მუხლის დაზიანება მაინც მოასწრო. ცხადია, შალიმოვის მკურნალობას კლუბი იკისრებს.**

**საფრანგეთის** მიშელ პლატინიმ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა, განაცხადა, ფლეი-ოფებში, იტალია — რუსეთის წყვილში აპენინელებს ვგულშემატკივრობ, მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის გარეშე წარმოუდგენელიაო. „მე პლატინი ვარ და არა პლატინოვი“ — თქვა ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა.

**შვედმა ნახევარმცველმა იოაკიმ პერსონმა შესაძლოა ბერგამოს „ატალანტა“ დატოვოს და „გიოტებორგთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. 22 წლის პერსონი იტალიაში „მალმოდან“ გადავიდა, თუმცა ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.**

**ინგლისის** ნაკრების თავდამსხმელმა ლეს ფერდინანდმა განაცხადა, მალე მწვანე მინდორს დავუბრუნდებიო. „ტოტენჰემის“ ძვირადღირებულმა ფორვარდმა მუცლის კუნთის ტრავმა ორი კვირის წინ მიიღო. მისი თქმით, ერთ თვეში მთელი ძალით ათამაშდება.

**საბერძნეთის ჩემპიონატის ორშაბათს ჩატარებულ მატჩში „პანათინაიკოსმა“ შინ 4:1 სძლია „ათინაიკოსი“.**

**ირლანდიელებს** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დამატებით მატჩებში ბელგიელებთან საპაექროდ „ტრანმერის“ თავდამსხმელი დევიდ კელი გამოაკლდათ. 31 წლის კელიმ ინგლისის პირველ დივიზიონში „ნოტინგემთან“ 2:2 დასრულებულ მატჩში კოჭი დაიზიანა.

**შვედეთის ჩემპიონატის ორშაბათს გამართული მატჩები ასე დასრულდა: ლუნდსკილე — დეგერფორსი 2:2, ორებრო — ჰალმშტადი 3:2, ორგრიტე — ნორჩიოპინგი 2:1. ჩემპიონატს კვლავინდებურად ლიდერობს „ჰალმშტადი“ 49 ქულით, მეორეა „გიოტებორგი“ (48), მესამე კი „მალმო“ (45). „ჰალმშტადმა“ ჩემპიონის ტიტულის ნაადრევად მოპოვების შანსი გაუშვა ხელიდან: ბოლო ტურში აუტსაიდერს კი ეთამაშება, მაგრამ არაა გამორიცხული, წაიფორხილოს, რითაც სავარაუდოდ „გიოტებორგი“ იხეირებს.**

**იტალიის** ნაკრები რუსებთან ფლეი-ოფის პირველი მატჩისთვის კოვერჩანოს ნაცვლად ორგეზიანას საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება. სწორედ აქ ავარჯიშებდა ჩეზარე მალდინი ახალგაზრდულ გუნდს, რომელმაც 1992, 94 და 96 წლებში ევროპის ზედიზედ სამი ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო. სხვა ახალი ამბავი ასეთია — მოსკოვში სავარაუდოდ ვერ ითამაშებენ ჩირო ფერარა, პაოლო მალდინი და ანჯელო დი ლივიო.

**გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ფრანკფურტის „აინტრახტმა“ შინ 0:1 წააგო „ურდინგენთან“.**

**ურუგვაელი** პაოლო მონტერო დაახლოებით ერთი თვით გამოეთიშება ფეხბურთს. ტურინის „იუვენტუსის“ მცველმა ოთხშაბათს მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. ბოლო ტურში „პარმასთან“ სტუმრად 5:0 მოგებულ მატჩში მონტერომ თვითონ დაიზიანა მუხლი, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის ორ და სერია A-ს სამ თამაშს გამოტოვებს.

**ალბანეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურის ბოლო მატჩში „ტეუტამ“ 1:0 სძლია ტირანის „პარტიზანს“. პირველობას 18 ქულით სათავეში „ტირანა“ უდგას, მეორე-მეოთხე ადგილებზე კი 12-12 ქულით „ლაჩი“, „ელბასანი“ და „ტეუტა“ არიან.**

**ბელგიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში კაცნაკლულ „ბრიუგესთან“ 0:3 დამარცხებამ ლიეჟის „სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ად დე მოსი შეიწირა. მარცხმა კლუბი ჩემპიონატში მე-12 ადგილამდე დააქვეითა, გუნდის ხელმძღვანელობამ კი „აიაქსის“, „ვერდერის“, „ეინდჰოვენის“, „მეხელენის“ და „ანდერლეხტის“ ყოფილი მწვრთნელი არ დაინდო.

**შოტლანდიელ გორდონ სტრაჩანს, რომელიც დღესდღეობით „ქოვენთრის“ თავკაცობს, პორტუგალიური „ბენფიკა“ ეპატიჟებოდა, მაგრამ 40-ს მიტანებულმა სტრაჩანმა კარიერის პორტუგალიაში გაგრძელება არ ისურვა. მან დიდ პატივად მიიღო „ბენფიკას“ მიწვევა — მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერესი და სახელოვანი გუნდი რომ გეპატიჟება, ესე იგი მწვრთნელობა გძალუძს — თუმცა სამხრეთში გადაბარგება მაინც იუარა: პორტუგალიურს რომ თავი დავანებოთ, ინგლისურიც არ ვიცი ხეირიანად, ხელ-ფეხით კი ფეხბურთელებს ვერაფერს ავუხსნიო.**

**ჰოლანდიელმა** რიხარდ ვიჩხემ განაცხადა — მორჩა, ნაკრებში აღარ ვითამაშებო. „აიაქსის“ ნახევარმცველს თურმე ქვეყნის პირველ გუნდში თამაშის სურვილი დაუკარგავს. ვიჩხემ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ითამაშა ნაკრებში, რადგან ეროვნული გუნდის მწვრთნელი გუს ჰიდინკი მას „ფეიენოორდის“ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს ამჯობინებს. ჰიდინკმა ვიჩხეს გადაწყვეტილება არ მოუწონა, მაგრამ მისთვის არც კალთები დაუხევია.

**საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ მარსელის მერიამ „ველოდრომის“ სტადიონს დამატებით 25 მილიონი ფრანკი გამოუყო 4 დეკემბრისთვის დასამთავრებელი სამუშაოების დასაჩქარებლად. „ველოდრომმა“ მსოფლიოს ჩემპიონატის შვიდ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს, მათ შორის ერთ-ერთ ნახევარფინალს. მისი შერემონტებაგანახლება კი საერთო ჯამში 65 მილიონი დოლარი დაჯდა.**

**გერმანელთა** მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, ხმები, თითქოს ზამერმა კარიერა დაასრულა, ჭორია, ამ დღეებში იგი ვენაზე და მკურნალობის პროცესმა ერთობ გამახარაო. ევროპის 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ბოლო დროს მუხლმა გააწვალა და ზედიზედ ორი ოპერაცია გაიკეთა.

**ინგლისელებმა რაზანია დაიწყეს ბრძოლა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებისთვის. ინგლისის სპორტის დეპარტამენტმა ამ საქმის პროპაგანდისთვის გამოყო 5 მილიონი დოლარი, რომლის გარკვეული ნაწილი მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონ ბობი ჩარლტონის და სხვა ოფიციალური პირების აშშ-ში, კოსტა რიკასა და ტრინიდად-ტობაგოში მოგზაურობას მოხმარდება. ინგლისელთა წარგზავნილები ამ ქვეყნებში მხარდამჭერთ მოიძიებენ.**

**გერმანიის** ჩემპიონატის უახლოეს ტურში, შაბათს, მიუნხენის „ბაიერნის“ მცველი მარკუს ბაბელი ბრემენის „ვერდერის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილებით იგი იმის გამო დაისაჯა, რომ „შტუტგარტთან“ შეხვედრაში (3:3) მეოთხე წუთზე ხელით ითამაშა და მოედნიდან გააძევეს. ბაბელმა ერთი თამაში („კარლსრუესთან“ 1:1) უკვე გამოტოვა, მაგრამ სადისციპლინო კომისიამ დანაშაული ორ მატჩიანი დისკვალიფიკაციის ღირსად შეაფასა.

ძიუდო

# ვერც მოვერიეთ, ვერც დავათვრეთ

სახელოვანი სპორტსმენების, მით უმეტეს, ძიუდოისტების სტუმრობით თბილისს ადრე ნამდვილად ვერ გააკვირვებდი. მერე ყოფა აგვერ-დაგვერია და დიდი სპორტსმენი კი არა, საზოგადოდ სტუმარიც სანატრელი გაგვიხდა. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი ნელ-ნელა უმჯობესდება და სპორტსმენებმა კვლავ მოაშურეს საქართველოს.

ბევრს ნუ გავაგრძელებთ და პირდაპირ ვთქვათ: განახლებულ საქართველოში უდო კველმალცისებრ ტიტულოვანი ძიუდოისტი (და, იქნებ, საერთოდ, სპორტსმენიც) საასპარეზოდ არ ჩამოსულა. უდო პირველად 1987 წელს იყო თბილისის ტურნირზე. მას შემდეგ ჩვენი ქვეყანაც შეიცვალა და კველმალციც. ათი წლის წინანდელი უწვერული, პერსპექტიული აღმოსავლეთგერმანელი ძიუდოისტი ამჯერად ოლიმპიურ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად მოგვევლინა. კველმალცი გერმანულ „ინგოლშტადტს“ ჩამოუძღვა ევროპის თასის მეოთხედფინალში „შევარდენთან“ შესახვედრად. იგი გუნდის მწვრთნელიცაა. მან თავისი შეხვედრაც მოიგო და თავის გუნდიც გამარჯვებული წაიყვანა საქართველოდან...

— რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ჩამოვედით, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავით, რომ მოვიგებდით. შეხვედრა საქართველოში გვქონდა, ძიუდოს ძლიერი ტრადიციების ქვეყანაში. შემადგენლობაც ძლიერი გყავდათ. მატჩიც, ფაქტიურად, მოგებული გქონდათ, მაგრამ ბოლოს ღმერთმა ჩვენ გადმოგვხედა.

**— ამ გამარჯვებაში დიდია შენი, როგორც მწვრთნელის წვლილი?**

— მართალი გითხრა, არა. მე თითქმის მთელ წელიწადს გერმანიის ნაკრებთან ერთად ვემზადები. სულ შეკრება-შეჯიბრებებზე ვარ და კლუბის ბიჭებს ჩემი თანაშემწეები ავარჯიშებენ. პირადად მე მხოლოდ შეხვედრების დროს ვკარნახობდი ძიუდოისტებს, რა და როგორ გაეკეთებინათ. ამჯერად ასე იყო, თუმცა მომავალში მწვრთნელობას ვაპირებ.

**— ეს რას ნიშნავს, სპორტიდან მალე აპირებ წასვლას?**

— ჩემი ნება რომ იყოს, დიდ, საერთაშორისო სპორტს უკვე დავემშვიდობებოდი. დავიღალე. ათი წელიწადია უმაღლეს დონეზე ვასპარეზობ. ამ ხნის მანძილზე ნორმალურად არ მიჭამია, არ დამილევია, არ დამისვენია და არ მიძინია. ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ გერმანიის ნაკრებიდან წასვლა მინდოდა და მხოლოდ კლუბის სახელით ჭიდაობას ვაპირებდი. ამ დროს რამდენიმე ხელსაყრელი კონტრაქტი გავაფორმე. ისინი რომ დავარღვიო, გვარიან ფულს დავკარგავ.

**— თუ საიდუმლო არ არის, თვეში რა შემოსავალი გაქვს?**

— თანხის პირდაპირ დასახელება არ შემიძლია, საიდუმლოა. ისე, სხვების შემოსავალი თუ იცი, მითხარი და დაახლოებით მიგახვედრებ.

**— კეთილი, ზუსტად შენნაირი ტიტულების პატრონ პაველ ნასტულას თვეში 10 ათას დოლარამდე აქვს.**

— ყოჩაღ, ნასტი (ნასტულას მეტსახელია — მ.რ.)! მაგდენი არა მაქვს, ცოტათი ნაკლებს ვიღებ.

**— რატომ, დავიჯერო, გერმანიაში ბევრია შენზე ტიტულოვანი ძიუდოისტი?**

— არა. ტიტულებით ყველას ვჯობივარ. აქ კონკრეტულად ჩემზე არ არის ლაპარაკი, ძიუდო არ განეკუთვნება მაღალშემოსავლიან სპორტის სახეობებს. ჩვენთან ბევრი ფული აქვთ ფეხბურთელებს, კალათბურთელებს, ჩოგბურთელებს, მოცურავეებს. აი, ფრანცისკა ვან ალმზიკი ავიღოთ. ლამაზი გოგოა, გაივლ-გამოივლის ტელეკამერის წინ საცურაო კოსტიუმში. იქ გაიცინებს, აქ ხელს დააქნევს, მერე ჩახტება წყალში, გაცურავს და კარგი ფული მისდის. უდო კველმალცი კი ვის რად უნდა?!

**— გამოდის, ძიუდოისტების საშველი არ ყოფილა?**

— კარგად მაშინ ვიქნებით, როცა ძიუდოში ტელებიზნესი ჩაერევა. ახლა ამ მხრივ კარგად ვერა გვაქვს საქმე. ძიუდო არატელეგენური და, სიმართლე ვთქვათ, ფართო მაყურებლისთვის ძნელად გასაგები სპორტია. თუნდაც შეფასების სისტემა ავიღოთ. როგორ გინდა, ყველას გააგებინო, რას ნიშნავს კოკა ან ჩუი. ანაც, რატომ სჯობს ერთი ვაზარი თხუთმეტ იუკოსა და კოკას ერთად აღებულს. სხვაგან მარტივადაა საქმე — თვლა ქულებით მიდის და მაყურებლისთვის ყველაფერი გასაგებია. ვნახოთ, ახლა ლურჯი კიმანოები დააკანონეს, ამბობენ, შეფასებათა სისტემაც შეიცვლებაო. ყველაფერი ეს იქითკენ მიდის, რომ ტელევიზიამ ძიუდოში ფული ჩადოს. მაშინ კი ჩვენც გვეშველება.

**— პირადად შენ ვინ გაფინანსებს?**

— სახელმწიფო, კლუბი და სპონსორი. სამსახურიც მაქვს — სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი ვარ.

**— ტიტულებმა ძალიან შეცვალა შენი ცხოვრება?**

— რა თქმა უნდა. უფრო პოპულარული გავხდი. ბევრი მცნობს და ეს ძალიან მსიამოვნებს. გამიმართლა, რომ ატლანტაში გერმანელთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. მთავრობამ დამიფასა და პრემია ყველაზე დიდი მე მომცეს — 25 ათასი მარკა. მთავარი კი იცი, რა არის: რამდენ ტიტულსაც მოვიხვეჭდი, სულ უფრო და უფრო მეტი „მეგობარი“ მიჩნდებოდა. ოლიმპიადის მერე ლამის ყველა ჩემს ძმად იქცა. ატლანტის შემდეგ წონა შევიცვალე და პირველ ადგილზე არსად გავსულვარ. ახლახან, პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე წავაგე. ჰოდა, სად გაქრნენ ჩემი „მეგობრები“, ვერ გამიგია...

**— არ მსურდა, შენთვის პარიზი გამეხსენებინა, მაგრამ რაკი თავად ახსენე, ისიც მითხარი, რატომ წააგე?**

— უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ სხვა წონაში გადავედი. მე 65 კგ წონის მოჭიდავე ვიყავი და ყველაფერი იმ წონაში მოვიგე. ახლა 71 კგ-ში ვასპარეზობ. აქ სხვა სტილია, სხვა მეტოქეებია. თავიდანვე ძლიერი ბიჭი შემხვდა — ოლიმპიური ჩემპიონი კენძო ნაკამურა. მის ძმას იუკიმასას მსოფლიოს ფინალიც მოვუგე და ოლიმპიადისაც. კენძომ კი რევანში აიღო და მერე ჩემპიონიც გახდა. სანუგეშო ტურნირი გავაგრძელე, მაგრამ იქ უკრაინელმა ბიჭმა მომიგო — ჩიმჩიურმა. როგორც ვიცი, ჩიმჩიური ქართველია, მაგრამ უკრაინიდან ჭიდაობს.

**— წონა რომ დაგეკლო?**

— აღარც მინდა და აღარც შემიძლია. თავისთვის ძალა რომ დამეტანებინა, იქნებ დამეკლო კიდეც, მაგრამ ორგანიზმს ველარ დავტანჯავდი. აღარ შემიძლია გამუდმებით რაღაცის მოკლება. მეც ხომ ადამიანი ვარ და მაქვს უფლება, რაც მინდა ვჭამო და დავლიო. ათი წელიწადია, ჩემს გემოზე არ მიჭამია.

**— კი მაგრამ, რაც იწვალე, ის ხომ დაგიფასდა?**

— დამიფასდა, ერთი კაცისთვის სამყოფი ტუტულები ნამდვილად მაქვს. ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, უდო კველმალცი ორჯერ იქნება მსოფლიოს ჩემპიონი თუ სამჯერ. რეკორდების დამხობა არასდროს მიზიდავდა. ოლიმპიადის შემდეგღა გავიგე, რომ პირველი გერმანელი ძიუდოისტი ვარ, ვინც მსოფლიოც მოიგო და ოლიმპიადაც.

**— სიდნეის ოლიმპიადისთვის 33 წლისა იქნები...**

— ვიცი, ახლა იმას მეტყვი, ბრაზილიელი მიგელი შენზე გაცილებით უფროსია და სიდნეიში ჭიდაობას აპირებსო. ეს ჩემთვისაც ცნობილია, მაგრამ მიგელი სხვანაირი კაცია, მან თუ თავში რამე ჩაიდო, ველარ ვადაათქმევინებ. პირადად მე სიდნეის მიზნად არ ვისახავ, ასე რომ, ტრაგედია არ იქნება, თუ იქ ვერ მოვხვდი.

**— შენ აღმოსავლეთგერმანელი ხარ. გერმანიაში კი ძიუდო ის სახეობაა, სადაც ყოფილი დემოკრატები უფრო ძლიერები იყავით ფედერალისტებზე და ეს განსხვავება დღესაც ძალშია...**

— მე ლაიფციგელი ვარ. გერმანიის ნაკრების მწვრთნელიც ყოფილი აღმოსავლეთგერმანელია და პარიზში ჩვენი წარუმატებელი გამოსვლაც მას დაბრალდა. აქაოდა, ყოფილი თავისიანები უფრო პატივში ჰყავსო. ეს არაფერ შუაშია. იმაში კი ვეთანხმები კრიტიკოსებს, რომ ნაკრებს გადახალისება სჭირდება. ძალიან მოვმრავლდით ხანდაზმული ხალხი.

**— თქვენი კლუბის ძიუდოისტების კიმანოზე „აუდი“ ეწერა. ეს საავტომობილო ფირმა თქვენი სპონსორია?**

— უკეთ რომ ვთქვათ, სპონსორობას აპირებს. „აუდის“ ოფისი და ქარხანა ჩვენს ქალაქში, ინგოლშტადტშია, მაგრამ ჩვენი სპონსორობა ჯერ ვერ გარისკეს. გვითხრეს, ჯერ საქართველოში მოიგეთ და მერე ვილაპარაკოთო. სხვა სპონსორები უფრო გვეხმარებიან.

**— საოცარია, „აუდი“ შენს ქალაქში იყოს და სპონსორებს სხვაგან ეძებდე...**

— რას იზამ. ჩვენგან 50 კილომეტრში არის ქალაქი, უფრო სწორად კი დიდი სოფელი აბენსბერგი. თქვენ რომ მოგეგოთ, „ოთხთა ფინალს“ იქ იჭიდავებდით, რადგან იქაური კლუბი „აბენსბერგი“ ევროპის თასის მფლობელია. ახლა ჩვენ მოგვიწევს მათთან შეჯახება. ჰოდა, ამ დიდ სოფელს ერთი ძიუდოს კლუბი აქვს და უნდა ნახოთ, მუნიციპალიტეტი როგორ ეხმარება. ადგილობრივი მთავრობა თავადაც აძლევს ფულს იმ კლუბს და სპონსორ-პარტნიორებსაც თავად უძებნის.

**— ქართველ ძიუდოისტებს ბევრჯერ შეხვედრიხარ?**

— ბევრჯერ. „შევარდენის“ ახლანდელმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ 1989 წელს იაპონიაში ისე მომიგო, გახსენებაც მრცხვენია. ახლა, როგორც მწვრთნელმა — მწვრთნელს სამაგიერო გადავუხადე, ეს ხუმრობით, თორემ ქართული სტილი ყოველთვის ძალიან მომწონდა. ჩემს ჭიდაობას თუ დააკვირდები, მეც თქვენებურთან მიახლოებულ სტილს ვიყენებ.

სხვათა შორის, ჩვენთან, ინგოლშტადტში ბევრი ქართველი მუსიკოსი მუშაობს და ცხოვრობს. მათ ორკესტრს ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობს. კონცერტებზე დასასწრებად ვერ ვიცლი, მაგრამ ვინც მათ მოუსმინა, ყველამ აღიარა — შესანიშნავები არიანო.

* * *

ჩვენი საუბარი მატჩისშემდგომ ბანკეტზე მიმდინარეობდა. კველმალცს არცერთი ჭიქა არ გამოუტოვებია, განსხვავებული სასმისებიც მიირთვა. შემდეგ ქართველმა მუსიკოსებმა „სულიკო“ გერმანულად იმღერეს. უდომ მომღერლებს სიტყვები გამოჰკითხა და ხმაცააყოლა. შემდეგ ქართველებთან ერთად „მთიულურიც“ იცეკვა. საინტერესო კი ის გახლდათ, რომ კვალმალცს შეზარხოშების ნატამალიც არ ეტყობოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, ამგვარი გამძლე ორგანიზმის პატრონი ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რომ გახდა.

**მერაბ რატიშვილი**
საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი



19.10.1997
I wish our team come next year again to Georgia. I wish a great future for Sarbieli.
Udo Quellmalz

*ჩვენს გუნდს ვუსურვებ გაისადაც სწვეოდეს საქართველოს. „სარბიელს“ ვუსურვებ დიდ მომავალს. უდო კველმალცი 19.10.1997*

წყალბურთი

# ვინ მოიტანს წყალს?

წყალბურთელებს მოენატრათ შინაური ჩემპიონატი და ტურნირები. 1993 წელს ბოლო ჩემპიონატი გამართეს და წლევანდლამდე ველარც შეძლეს ქართულმა გუნდებმა თავმოყრა. წელს კი წყალბურთელებმა, როგორც იქნა, მოახერხეს საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება. პირველ ტურში 6 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის ტიტულს, მეორე ტურს კი 3 გუნდიღა შემორჩა, სამივე თბილისისა — „დინამო“, „შევარდენი“ და „მართვე“. ფინალურ ეტაპზე ყველას დინამოელებმა აჯობეს. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ირაკლი ბაქრაძე, მიხეილ ლომთაძე, გოგი ჩივაძე, გიგი გორდელაძე, ნოდარ ჩოლარია, ოთარ ლომიძე, ავთანდილ მაღლაკელიძე და გალაქტიონ ლაითაძე. ამ ბიჭებიდან ორმა — ლაითაძემ და ჩოლარიამ წელს ფინეთის ჩემპიონატზე იასპარეზა ერთ-ერთ იქაურ საკლუბო გუნდში, ლაითაძე კი წელსვე ფინეთის საუკეთესო წყალბურთელად აღიარეს.

სამწუხაროა, რომ ჩემპიონატს მაყურებლები არ დასწრებიან. პირველობას არც ფინანსური ... ხელშეწყობა ჰქონია. როგორც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა და თავად წყალბურთელებმაც შემოგვჩივლეს, მათთვის წყლით სავსე აუზი და ნორმალური ვარჯიშიც სანატრელი ყოფილა, ჩემპიონატის დაწყებამდე მთელი თვე მომავალი ჩემპიონები მხოლოდ შტანგით ვარჯიშობდნენ, ჩემპიონატის დასრულებისას კი გამარჯვებულებს სიგელები და მედლებიც არავინ აღირსა. მოკლედ, როგორც ბატონმა თენგიზმა გვითხრა, თუ ასე გაგრძელდა, მალე შეიძლება გუნდი დაიშალოს კიდეც. სიდუხჭირის გამო დაკარგა საქართველომ მართლაც კაშკაშა ვარსკვლავი — რეზო ჩომახიძე, რომელიც ჯერ იტალიურ კლუბში ასპარეზობდა, ახლა კი მოსკოვის „დინამოსა“ და რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართულ წყალბურთს პატრონი არ ჰყავს. იმედს ვიტოვებთ, მალე ქართულ წყალბურთსაც გამოუჩნდება ქომაგი და მისი გარჯა ფეხზე დააყენებს სპორტის ამ სახეობას.

**ხათუნა პაიჭაძე**

ჰოკეი

# ბლუზი — სასტარტო მელოდია

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**დეტროიტი — სენტ ლუისი 3:3**

**შაიბები: იორკი 2(0:1), დანდენო 2(1:1), აიზერმანი 2(2:1), იეიკი 2(2:2), კემპბელი 2(2:3), აიზერმანი 3(3:3).**

ამ ორი კლუბის ბოლოდროინდელი ქიშპობა, ეს ორი წელია, უფრო გამწვავდა, ორივე ფლეი-ოფში დეტროიტელებმა იმარჯვეს, 1996 წლის სერიის უკანასკნელ, მეშვიდე მატჩში აიზერმანის მიერ გატანილი ბრწყინვალე შაიბა კი ჯერაც არ დავიწყებიათ ჰოკეის ქომაგებს. წელს სენტლუისელებმა გააოცეს ლიგა ჩინებული სტარტით, ამ შეხვედრამდე ისინი დეტროიტელებს ერთი ქულითაც უსწრებდნენ. მატჩმა არ გააწბილა მაყურებელი — იგი ძალზე უშეღავათო ბრძოლის მოწმე გახდა. თავიდან სტუმრები გამოიყურებოდნენ უკეთ და იორკის დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მეორე პერიოდში ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და არაერთი ხელსაყრელი მომენტიდან ორი გამოიყენეს. სენტ ლუისი ვეღარც იხეირებდა, რომ არა „წითელფრთიანთა“ უხეში შეცდომა, რის შედეგადაც იეიკმა უმცირესობაში გაათანაბრა, სამ წუთში კი „ბლუზმენები“ სულაც წინ გავიდნენ. თუმცა, ეს არ იქნებოდა ლოგიკური შედეგი და მატჩიც სხვაგვარად დასრულდა: აიზერმანმა მიმართულება შეუცვალა ლიდსტრიომის დარტყმულს და მასპინძლები მარცხისგან იხსნა. აღსანიშნავია, რომ დეტროიტელთა კაპიტანმა 542 შაიბით ნჰლ-ის ისტორიაში მე-16 ადგილზე აინაცვლა.

20 ოქტომბერი. რეინჯერსი — კაროლინა 4:2

21 ოქტომბერი. ფილადელფია — **ტამპა 7:1, დალასი — ვანკუვერი 1:5, ფინიქსი — ანაჰაიმი 3:4, ედმონტონი — ბოსტონი 1:2, ლოს ანჯელესი — აილენდერსი 3:2.**

წინა შეხვედრაში ფილადელფიის სასტიკ მარცხს წამყვანი სამეულის წევრის, 19 წლის ლიტველი ზუბრუსის ტრავმაც დაემატა. მაგრამ ტამპასთან გუნდს მისი არყოფნა სულაც არ უგრძვნია — ლინდროსის „ლეგიონში“ მოთამაშე პროსპალი ისე კარგად გამოიყურებოდა, რომ, შესაძლოა, ლიტველს მომავალში აღარც დაუთმოს ადგილი. ახალგაზრდა ჩეხმა თავიც გამოიჩინა და პარტნიორებიც ასახელა: ლეკლერმა (1+1) თავისი მე-8 შაიბა შეაგდო და სნაიპერთა სიაში დალასელ მოდანოსთან ერთად დაწინაურდა, ხოლო ლინდროსმა 5(1+4) ქულა დააგროვა და კარიერაში მე-200 გოლი გაიტანა. თვით პროსპალმა კი 2 გოლი და 2 პასი გააზრზა და დაასრულა ტამპას განადგურება. ჩეხის დამსახურებას ისიც ემატება, რომ მან მეტად მოკრძალებულად შეაფასა თავისი წვლილი და აღნიშნა, მე მხოლოდ ცოტა ხნით შევცვალე ზუბრუსიო. რაც შეეხება ტამპას, იგი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

დალასმა ვანკუვერთან თამაში ისე დაიწყო, თითქოს ეს მისი უკანასკნელი ბრძოლა იყო და პირველ პერიოდში ნამდვილი შტურმი მოაწყო მეტოქის კართან. მაგრამ შეუდარებელი იყო ლატვიელი ირბე, რომელმაც მასპინძლებს ერთ შაიბაზე მეტი არ გაატანინა. ამასობაში მისი პარტნიორებიც გამოცოცხლდნენ და პაველ ბურეს ორი ზუსტი დარტყმის შემდეგ დაწინაურებულებმა მესამე პერიოდში კიდევ სამჯერ გაიტანეს. ბოლო შაიბა კვლავ ბურემ შეაგდო და კარიერაში მე-7 ჰეთ-თრიქი გააკეთა. მეტად ლამაზი იყო რუსი ფორვარდის მეორე გოლი, როცა მან მოტყუებულ, წაქცეულ მეკარეს მშვიდად გადაუგდო შაიბა თავზე.

ბოსტონის გოლკიპერი ჯიმ კერი შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ კვლავ საუკეთესო ფორმაშია და ძალზე გაამაგრა გუნდის დაცვა. 150 წუთის განმავლობაში მას შაიბა არ გაეშვა, სანამ ედმონტონელმა უეიტმა რიცხობრივი უმრავლესობაში არ გაუტანა. მაგრამ ამან არ იკმარა წარმატებისთვის და ვეტერანი მცველების — ბურკისა (3) და ელეტის ორი შაიბის წყალობით „დათვებმა“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმეს. ეს ხუთი მატჩი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ კერიმ და მისმა შემცვლელმა ვინსენ დაფომ მხოლოდ 4 შაიბა გაუშვეს.

სამი მარცხის შემდეგ მოიგო რეინჯერსმა, რომელსაც უხეიროდ მოასპარეზე კაროლინას ძლევა არ გასჭირვებია. როგორც იქნა, გახსნა პირადი ანგარიში ლიგის ბოლო ორი წლის საუკეთესო მცველმა, ნიუიორკელმა ლიჩმა. ამას კაროლინელმა ენრიკო ჩიკონემ 34 საჯარიმო წუთით (!) „უპასუხა“.

ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, ანაჰაიმელმა ტეემუ სელიანემ (1+1,2) ოთხი უშედეგო გამოსვლის შემდეგ ნავსი თავის ყოფილ კლუბთან — ფინიქსთან შეხვედრაში გატეხა, რაშიც პირველად შეამხანაგებული შონ პრონგერი დაეხმარა. სწორედ ამ ახალგაზრდა ჰოკეისტის გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. „იხვებმა“ კი, პირველად სეზონში, სამზე მეტი შაიბა შეაგდეს.

**სამველ ღარიბიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | |
| ბოსტონი | 10 | 7 | 0 | 3 | 29:23 | 14 |
| ოტავა | 9 | 5 | 2 | 2 | 26:21 | 12 |
| პიტსბურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 25:21 | 12 |
| მონრეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 19:14 | 8 |
| ბუფალო | 9 | 2 | 2 | 5 | 21:30 | 6 |
| კაროლინა | 10 | 1 | 2 | 7 | 21:33 | 4 |
| | | ატლანტიკა | | | | |
| ვაშინგტონი | 8 | 7 | 0 | 1 | 30:15 | 14 |
| ფილადელფია | 10 | 6 | 1 | 3 | 32:23 | 13 |
| ნიუ ჯერსი | 7 | 4 | 0 | 3 | 20:16 | 8 |
| აილენდერსი | 8 | 3 | 2 | 3 | 23:20 | 8 |
| რეინჯერსი | 9 | 2 | 4 | 3 | 22:24 | 8 |
| ფლორიდა | 7 | 2 | 1 | 4 | 14:22 | 5 |
| ტამპა | 9 | 2 | 1 | 6 | 15:29 | 5 |
| | | ცენტრი | | | | |
| სენტ ლუისი | 9 | 7 | 1 | 1 | 31:18 | 15 |
| დეტროიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 34:19 | 14 |
| დალასი | 10 | 5 | 1 | 4 | 31:25 | 11 |
| ფინიქსი | 8 | 4 | 1 | 3 | 25:24 | 9 |
| ტორონტო | 8 | 2 | 1 | 5 | 16:23 | 5 |
| ჩიკაგო | 8 | 1 | 0 | 7 | 11:28 | 2 |
| | | წყნარი ოკეანე | | | | |
| კოლორადო | 9 | 5 | 3 | 1 | 33:22 | 13 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 3 | 3 | 4 | 35:32 | 9 |
| ანაჰაიმი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:20 | 8 |
| ვანკუვერი | 8 | 3 | 2 | 3 | 22:20 | 8 |
| ედმონტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 19:33 | 7 |
| სან ხოსე | 8 | 2 | 0 | 6 | 20:26 | 4 |
| კალგარი | 8 | 1 | 2 | 5 | 18:27 | 4 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XII ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შალკე — ბოხუმი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — არმინია | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| დორტმუნდი — ჰანზა | 1,4 | 3,4 | 5,3 |
| ჰერტა — კარლსრუე | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბაიერნი — ვერდერი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ჰამბურგი — მიუნხენი | 1,45 | 3,3 | 5,0 |
| მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი | 1,7 | 3,1 | 3,6 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიოლნი — შტუტგარტი | 2,4 | 3,0 | 2,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XI ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი — კარლ ცაისი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| მეპენი — აინტრახტი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ფორტუნა — კიკერსი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — ლაიპციგი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| დიუსელდორფი — ვატენშაიდი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ცვიკაუ — კოტბუსი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| მაინცი — ნიურნბერგი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| გიუტერსლოო — ურდინგენი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანქტ პაული — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XII ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ევერტონი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლივერპული — დერბი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მანჩესტერი — ბარნსლი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,6 | 5,6 |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| შეფილდი — კრისტალ პალასი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| საუთჰემპტონი — ტოტენჰემი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| უიმბლდონი — ლიდსი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ასტონ ვილა | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,4 |
| ბოლტონი — ჩელსი | 3,4 | 2,9 | 1,8 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — ვესტ ჰემი | 1,45 | 3,2 | 5,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIV ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რედინგი — ნოტინგემი | 3,2 | 2,8 | 1,9 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ოქსფორდი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ბრედფორდი — ქრიუ | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| ჰადერსფილდი — პორტსმუთი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| იფსვიჩი — ბერი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მიდლსბრო — პორტ ვეილი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სტოკპორტი — ვულვერჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| სტოკი — სანდერლენდი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სვინდონი — ნორვიჩი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ტრანმერი — ჩარლტონი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ვესტ ბრომი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,1 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქუინზ პარკი — სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — მარსელი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ბორდო — ნანტი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| მონაკო — ოსერი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| კანი — ლე ავრი | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ლიონი — ტულუზი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მეცი — მონპელიე | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| პსჟ — ლანსი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| შატორუ — გინგამი | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| რენი — სტრასბური | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IX ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პესკარა — ჯენოა | 1,8 | 2,9 | 3,4 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კალიარი — სალერნიტანა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ფ. ანდრია — ტორინო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლუკეზე — რეჯანა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| მონცა — დი სანგრო | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| პადოვა — კიევო | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| პერუჯა — ანკონა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| რეჯინა — რავენა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ტრევიზო — ვენეცია | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ვერონა — ფოჯა | 1,3 | 3,4 | 7,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VIII ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეტისი — კომპოსტელა | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| სალამანკა — სარაგოსა | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| სოსიედადი — მერიდა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ვალენსია — ოვიედო | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| დეპორტივო — სელტა | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| სპორტინგი — ბილბაო | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ტენერიფე — ვალიადოლიდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| მალიორკა — რეალი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ბარსელონა — რასინგი | 1,2 | 4,2 | 8,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. X ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეიბარი — ნუმანსია | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლას პალმასი — ალბასეტე | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ლეიდა — ტოლედო | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ორენსე — ვილიარეალი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ხაენი — რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| სერესი — ერკულესი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ელჩე — ოსასუნა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ესტრემადურა — ლევანტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ბადახოსი — ალავესი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ლოგრონიესი — ლეგანესი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| სევილია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრააფსხაპი — ჰერენვენი | 2,3 | 2,8 | 2,4 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — მაასტრიხტი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,2 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| სპარტა — გრონინგენი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| აიაქსი — ფეიენოორდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ვალვაიკი — ვოლენდამი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ტვენტე — როდა | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ვიტესი — სიტარდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. X ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — სტ. ჯონსტონი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,6 |
| დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი | 5,0 | 3,6 | 1,4 |
| ჰართსი — დანფერმლაინი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| კილმარნოკი — ჰიბერნიანი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| მოზერველი — აბერდინი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVI ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტიროლი — აუსტრია | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| რიდი — გრაცერი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| რაპიდი — ლინცერი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ადმირა — ლუსტენაუ | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| შტურმი — ზალცბურგი | 1,35 | 3,4 | 6,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVI ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტ. გალენი — ლუცერნი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ქსამაქსი — გრასჰოპერი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| ციურიხი — ლოზანა | 2,3 | 3,0 | 2,3 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრინსი — კარუჟი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სერვეტი — ბაზელი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| სიონი — არაუ | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-12) | 26 და ნაკლები — 1,8; | 28 და მეტი — 1,8 |
| ინგლისი (მე-12) | 26 და ნაკლები — 1,8; | 28 და მეტი — 1,8 |
| საფრანგეთი (მე-13) | 22 და ნაკლები — 1,8; | 24 და მეტი — 1,8 |
| იტალია (მე-7) | 22 და ნაკლები — 1,8; | 24 და მეტი — 1,8 |
| ესპანეთი (მე-8) | 28 და ნაკლები — 1,8; | 30 და მეტი — 1,8 |

## CROCO-2

### ტირაჟი №71

1. ჰერტა — კარლსრუე
2. მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი
3. საუთჰემპტონი — ტოტენჰემი
4. უიმბლდონი — ლიდსი
5. ბასტია — მარსელი
6. კანი — ლე ავრი
7. შატორუ — გინგამი
8. რენი — სტრასბური

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

კალათბურთი

# მაინც ვითა

ვერის ბაღი. 21 ოქტომბერი
საქართველოს მეშვიდე ჩემპიონატი

**სტუ 93:83 შევარდენი**

**სტუ: დ. ბერიშვილი (19), ი. ბერიშვილი (18), გიგაშვილი (2), ნოზაძე (21), ხარაძე (8); ენდელაძე, ბათხაძე (21), სუხიშვილი (4)**

**შევარდენი: მაჭავარიანი (30), კაზანჯიანი (20), ისაკაძე, ცაგარეიშვილი (1), ღვინეფაძე (11); ჩარგეიშვილი (14), ესიტაშვილი (8)**

მატჩის დასაწყისი პირველობის დებიუტანტმა სტუდენტებმა პირწმინდად მოიგეს. „შევარდენის" ლიდერებს — მაჭავარიანსა და კაზანჯიანს არაფერი გამოსდიოდათ: მათი ნატყორცნი ბურთები მიზანს ვერ აღწევდა. პირველ შვიდ წუთში „შევარდენმა" მხოლოდ ერთი (!) ქულა მოიპოვა. მე-13 წუთზე ირაკლი ბერიშვილის სამქულიანი ტყორცნის შემდეგ ანგარიში 30:8 გახდა. აქ შევარდენელმა ჩარგეიშვილმა იტვირთა ლიდერობა და ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ დათო ბერიშვილმა და ბათხაძემ უმალვე უპასუხეს ზუსტი შორეული ტყორცნებით. მოკლედ, პირველი ტაიმი სტუმ 19 ქულით მოიგო — 49:30.



ვითა — სდასუ: სანაძის (7) შეჩერება ძნელია

მეორე ნახევრის მე-5 წუთზე ბათხაძის ზუსტი სროლის შემდეგ სხვაობამ 29 ქულას მიაღწია 62:33 (!) მწვრთნელმა გურამ მინაშვილმა დათო ბერიშვილი დაასვენა. ამის ბრალი იყო თუ სტუდენტებმა უკვე მოგებულად ჩათვალეს მატჩი, მათ ორწუთიან მონაკვეთში 13:0 წააგეს. როგორც იქნა, მაჭავარიანი და კაზანჯიანი ათამაშდნენ. ანგარიში სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა. ამ მომენტში ჩინებულად ითამაშა ნოზაძემ, რომელმაც ფარქვეშ ბრძოლა მოუგო ღვინეფაძესა და ჩარგეიშვილს, შემდეგ ირაკლი ბერიშვილმაც წაამატა და სხვაობა ისევ პირველი ნახევრისა გახდა. მაჭავარიანი კი მაინც არ ისვენებს. ერთ შეტევაში ხუთ ქულას აგროვებს — ზუსტი სამქულიანი, ორი საჯარიმო და ანგარიშში სხვაობა მატჩის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე 8 ქულაღაა, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში ირაკლი ბერიშვილიც აგროვებს ხუთ ქულას ერთ შეტევაში და სტუდენტებმა ბოლომდე მიიყვანეს კარგად დაწყებული საქმე — 93:83.

**დინამო 2 74:70 კოლხა**

**დინამო 2: ვეფხვაძე (12), უჩუმბეგაშვილი (26), გრძელიშვილი (9), სიხარულიძე (4), მანველიშვილი (2); მშვილდაძე (8), ხეცურიანი (11), ნოზაძე, ფსუტური (12)**

**კოლხა: აბულაძე (4), აქირთავა (4), ქარუმიძე (6), ქვილითაია (11), ცქიტიშვილი (15), არველაძე (12), კვაჭაძე (13), უგრეხელიძე (5)**

„კოლხამ" თამაში თავისი ლიდერის კვაჭაძის გარეშე დაიწყო და დინამოელებმა ეს კარგად გამოიყენეს: ვეფხვაძისა და უჩუმბეგაშვილის კარგი თამაშის წყალობით სწრაფად დაწინაურდნენ და იმ დროისთვის, როცა მოედანზე კვაჭაძე გამოჩნდა, ანგარიში უკვე 14:4 იყო დინამოელთა სასარგებლოდ, მე-12 წუთისთვის კი ისინი 12 ქულას იგებდნენ — 25:13. ამ დროს კვაჭაძისა და არველაძის ზუსტი სამქულიანი სროლებით „კოლხამ" რამდენადმე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ტაიმის ბოლოს მშვილდაძემ და გრძელიშვილმა ითამაშეს კარგად და „დინამო 2"-მა ტაიმი 9 ქულით მოიგო — 38:29.

მეორე ნახევრის ხუთ წუთში ანგარიში პირველად გათანაბრდა — 42:42. ქვილითაიასა და აბულაძის ტყორცნების შემდეგ კი უკვე „კოლხა" გადის წინ. ახლა „დინამო 2"-ია მდევრის როლში, თუმცა, ის ძალიან შორს არ უშვებს მეტოქეს. შეხვედრის დასასრულამდე ორნახევარი წუთით ადრე კვლავ „დინამო 2" გადის წინ. შემდეგ ვეფხვაძის ერთ შეტევაში ოთხი ქულა და დინამოელები უძნელეს მატჩში იმარჯვებენ.

**ვითა 109:99 სდასუ**
(დამ. დროში)

**ვითა: აბრამიძე (22), დავითულიანი (19), კობეშავიძე (29), ორმოცაძე (13), კორძაძე (16); მიქაძე (1), ლოსაბერიძე (4), ჩუბინიძე (3), ფაჩულია (2)**

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (31), რ. ჩხეიძე (5), სანაძე (25), ოთიურიძე (15), დერიუგინი (16); მუშკუდიანი (5), აბულაძე (2), გიგაური**

სდასუსთან „ვითას" შეხვედრას დიდი ინტერესით მოელოდა მაყურებელი და მოლოდინი გამართლდა — მეტოქეებმა ჩინებულად ითამაშეს.

ვითელებმა თავიდანვე ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანეს. მართალია, აბრამიძეს ფეხი არ მოშუშებია, დავითულიანს — ხელი, მაგრამ ორივე სასტარტო შემადგენლობაში გამოვიდა.

შეხვედრა ვითელთა უპირატესობით დაიწყო. კობეშავიძემ, ჩერქეზიშვილმა, აბრამიძემ სწრაფად დააწინაურეს თავიანთი გუნდი და მე-10 წუთზე კობეშავიძის ზუსტი ტყორცნის შემდეგ „ვითა" 19 ქულით იგებდა — 30:11. სდასუს ლიდერები საიმედოდ იყვნენ ჩაკეტილნი, რეზო ჩხეიძეს კი უკვე სამი პერსონალური შენიშვნა ჰქონდა. ისე ჩანდა, „ვითას" მალე უნდა გაეტეხა მეტოქე, მაგრამ ჩერქეზიშვილმა აიყოლია პარტნიორები და ცოტა ხანში ჩხიროს გარღვევის შემდეგ ანგარიში სხვაობა შვიდ ქულამდე შემცირდა — 30:23. აქ დავითულიანმა შეუტია თავისი მტკივანი მარცხენა ხელით, მაგრამ სანაძემ უპასუხა სამქულიანით და ცხადი გახდა, მატჩის ბედი ბოლო წუთამდე არ გადაწყდებოდა. ასეც მოხდა. მართალია, დავითულიანის კიდევ ერთი გარღვევის შემდეგ „ვითა" კვლავ ათი ქულით გავიდა წინ, მაგრამ ტაიმის ბოლოს ჩერქეზიშვილმა, დერიუგინმა და ოთიურიძემ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა. მამუკა აბრამიძის ბოლო წამზე ნასროლმა სამქულიანმა კი პირველი ტაიმი „ვითას" მოაგებინა — 51:47.

მეორე ნახევარში მაყურებელმა კვლავ ჩინებული თამაში იხილა. კობეშავიძის შორეული ტყორცნებით და ორმოცაძის ფარქვეშ კარგი თამაშის წყალობით „ვითა" კვლავ 8 ქულითაა წინ. ჩერქეზიშვილი კვლავ ცდილობს, გარდატეხა შეიტანოს თამაშში, მაგრამ ზუსტად ირჯება კორძაძე და მე-8 წუთზე „ვითა" 9 ქულას იგებს — 65:56. აქ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი სანაძემ და მისი შეჩერება ვითელებმა ვერა და ვერ მოახერხეს. კორძაძე და კობეშავიძე თავდასხმაში კვლავ ჩინებულად თამაშობენ, მაგრამ სანაძის ყოველი შეტევა შედეგიანად მთავრდება. მე-12 წუთზე სანაძის სამქულიანს ქულამდე დაჰყავს სხვაობა. მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე კი მისი კიდევ ერთი სამქულიანი სდასუს ხანგრძლივ დევნას ასრულებს. შემდეგ დერიუგინის ორი ზუსტი შეტევა ფარქვეშიდან და ანგარიში უკვე 82:74-ია სდასუს სასარგებლოდ. ამ დროს გია სანაძე საბედისწერო მე-5 პერსონალურ შენიშვნას იღებს და სდასუ, რომელსაც ამავე მიზეზით ცოტა ხნით ადრე რეზო ჩხეიძე გამოაკლდა, კრიტიკულ სიტუაციაშია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სდასუს მოედანზე ჰყავდა ნიკო ჩერქეზიშვილი. ვითელები მთელი გუნდით დასდევენ ნიკოს, ის კი მაინც ახერხებს და თავისიანებს უპირატესობას უნარჩუნებს. ისვრის კორძაძე — 84:78, პასუხობს ჩერქეზიშვილი, კობეშავიძის სამქულიანი, კვლავ ჩერქეზიშვილი 88:81. ვითელები კიდევ უფრო უმატებენ ტემპს. აბრამიძე სამქულიანს აგდებს. შემდეგ კვლავ კარგად თამაშობს კორძაძე, რომელსაც ჩერქეზიშვილი გარღვევით პასუხობს. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სხვაობა ოთხი ქულაა — 90:86. უტევს ვითელთა კაპიტანი კობეშავიძე, ბურთსაც აგდებს და საჯარიმოსაც. ანგარიში მინიმუმამდე მცირდება. სდასუ შეტევაში ცდება — აბრამიძის სამქულიანი და „ვითა" დაწინაურდა 92:90. 36 წამი მატჩის დამთავრებამდე, ბურთი კვლავ ჩერქეზიშვილს აქვს. იგი გაუძვრა ვითელთა დაცვას, ისინი იძულებული არიან, შეტევა აკრძალული ხერხით შეაჩერონ. ჩერქეზიშვილი ორივე ჯარიმას ზუსტად ტყორცნის — 92:92.

ინიშნება დამატებითი დრო და მატჩის ბედი დამატებითის პირველსავე წუთზე წყდება. დავითულიანი უტევს, ბურთსაც აგდებს და ჩერქეზიშვილსაც მე-5 პერსონალურ შენიშვნას აძლევენ. მატჩის ბედი გადაწყვეტილია და „ვითასაც" ადვილად მიჰყავს მატჩი გამარჯვებამდე 109:99.

22 ოქტომბერი

**ვითა 100:92 კოლხა**

**ვითა: გაგნიძე (5), ლოსაბერიძე (21), ორმოცაძე (21), ჩუბინიძე (9), კორძაძე (9); აბრამიძე (21), მიქაძე (12), ბახტაძე, ფაჩულია (2)**

**კოლხა: აბულაძე (13), აქირთავა (12), კვაჭაძე (24), ქარუმიძე (19), ცქიტიშვილი (4); ბერიშვილი (2), ქვილითაია (12), უგრეხელიძე (2), კეიდია (2), ვაშაკიძე (2)**

ვითელებს წინა დღის მძიმე მატჩის შემდეგ აკლდნენ კობეშავიძე და ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელი დავითულიანი.

მიუხედავად ამისა, ვითელები ლოსაბერიძისა და ორმოცაძის კარგი თამაშის წყალობით თავიდანვე დაწინაურდნენ 25:12. კოლხელებმა მე-12 წუთისთვის შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ამ დროს მოედანზე გამოვიდა აბრამიძე. ვითელებმა თამაში დაალაგეს და პირველი ნახევარი თოთხმეტი ქულით მოიგეს 50:36.

მეორე ტაიმის შუა პერიოდში კოლხელებმა კვლავ დაიყვანეს სხვაობა ხუთ ქულამდე. ვითელებმა მაინც მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე, თუმცა, არცთუ ჩვეული დიდი უპირატესობით.

**სტუ 80:76 დინამო 2**

**სტუ: დ. ბერიშვილი (18), ი. ბერიშვილი (27), გიგაშვილი (4), ნოზაძე (9), ხარაძე (11); ჩაჩუა (3), ენდელაძე, ბათხაძე (6), სუხიშვილი (2)**

**დინამო 2: ვეფხვაძე (23), მშვილდაძე (10), უჩუმბეგაშვილი (8), სიხარულიძე, მანველიშვილი (19); გრძელიშვილი (9), ხეცურიანი (5), ფსუტური (2), ნოზაძე**

სტუდენტებმა ისევე ძლიერ დაიწყეს შეხვედრა, როგორც წინა მატჩი „შევარდენთან" და მე-7 წუთზე თერთმეტ ქულას იგებდნენ, მაგრამ ნორჩი დინამოელები სწრაფად მოეგნენ გონს და ანგარიში გაათანაბრეს. ტაიმის ბოლოს კი ირაკლი ბერიშვილის და ნოზაძის კარგმა თამაშმა სტუ-ს რვაქულიანი უპირატესობა მოაპოვებინა.

მეორე ნახევარში სტუდენტები დიდხანს ინარჩუნებდნენ 7-8 ქულიან სხვაობას ანგარიშში, მაგრამ მე-7 წუთისთვის მანველიშვილის ზედიზედ სამმა შედეგიანმა შესვლამ „დინამო" დააწინაურა — 68:67. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და მატჩის დამთავრებამდე 1 წუთითა და 25 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო— 76:76. აქ ისევ ტყუპმა ძმებმა იძალეს, დინამოელები ჯერ დათოს წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, შემდეგ — ირაკლის. ძმებმა ზუსტად ისროლეს საჯარიმოები და წლევანდელი პირველობის დებიუტანტმა მეორე გამარჯვებაც იზეიმა.

**სდასუ 97:78 შევარდენი**

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (24), სანაძე (20), რ. ჩხეიძე (25), ოთიურიძე (19), მუშკუდიანი (7); აბულაძე, დერიუგინი (2)**

**შევარდენი: მაჭავარიანი (32), კაზანჯიანი (8), ჩარგეიშვილი (7), ცაგარეიშვილი (10), ღვინეფაძე; ესიტაშვილი (16), ისაკაძე (3), სურმავა (2)**

„შევარდენმა" სამი სამქულიანით დაიწყო: ჯერ ჩარგეიშვილმა ჩააგდო, მერე კაზანჯიანმა და მაჭავარიანმა. სანაძეს და ჩხეიძეს არ წაუვიდათ ტყორცნები და ლიდერობა ისევ ჩერქეზიშვილმა იტვირთა. ატყდა სამქულიანების წვიმა. პირველი თხუთმეტი შედეგიანი შეტევიდან მეტოქეებმა მხოლოდ ორი არ ჩააგდეს შორიდან. მე-11 წუთზე კი ჩერქეზიშვილის ზუსტმა სამქულიანმა სდასუ პირველად დააწინაურა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ადვილად დაძლევდა შევარდენელთა წინააღმდეგობას, მაგრამ კვლავ ჩინებულად ათამაშდა მაჭავარიანი და ანგარიშში თანაფარდობა მატჩის ბოლომდე გაგრძელდა, სანამ ჩერქეზიშვილის სამქულიანმა სდასუს 8-ქულიანი სხვაობისათვის არ მიაღწევინა — 75:67. ამის შემდეგ „შევარდენი" გატყდა და ჩხეიძის გარღვევების და სანაძის შორეული ტყორცნების ნეიტრალიზება ველარ მოახერხა.

**კოტე მგალობლიშვილი**

ჩოგბურთი

# მე დავბრუნდები

შტუტგარტი. გერმანია.
„იუროქარდის" ღია პირველობა.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო ფონდი
2,3 მილიონი დოლარი.



ბორის ბეკერი

შტუტგარტის პირველობა „მერსედეს ბენც-ის" სერიაში ბოლოსწინა ტურნირია. ფულადი თანხების გარდა აქ საკმაო რაოდენობით საკვალიფიკაციო ქულებსაც არიგებენ, რაც სეზონის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებშერჩენილ ჩოგბურთელებს არანაკლებ იზიდავს.

ერთი-ორი წლის წინ აგასის წაგება ნებისმიერ მეტოქესთან მოულოდნელობად ითვლებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, მის წარმატებულ გამოსვლას აღარავინ ელის. გაზანტებული და ლიპდადებული ანდრე ერთ დროს ყველაზე სანახაობრივი ჩოგბურთელის ლანდსაც აღარა ჰგავს, კლასიფიკაციაში მისი ახლანდელი ადგილი კი (102-ე) მარტო თანაგრძნობასღა იწვევს. ირანულ-სომხური წარმოშობის თავხოტორა ამერიკელი წლეულს ნათამაშევი 13 ტურნირიდან რვაში პირველივე წრეში გავარდა, ნახევარფინალები და ფინალები ტკბილ მოგონებებადღა ექცა და წაგებები მოგებებზე მეტი დაუგროვდა (13:12). ამჯერად ანდრეს ცოდვა თანამემამულემ — თავადაც ყოფილმა ბოპილამ ტოდ მარტინმა დაიდო, რომელსაც ხელზე გაკეთებული ოპერაციის გამო თითქმის მთელი წელი გაუცდა. ორი საპენსიოდ გამზადებულის ცოდვილობა ვერაფერიშვილი სანახავი გამოდგა, მაგრამ მარტინმა თავისი ერთადერთი უპირატესობა — მძლავრი მოწოდება კარგად გამოიყენა, სულ 14 ეისი მოაწოდა, ორივე სეტში თითო ბრეიკი გააზერხა და მატჩი 6:4, 6:4 მოიგო 70 წუთში. აგასიმ იხტიბარი წაგების მერეც არ გაიტეხა: „შევბულება დავამთავრე. გაისად სრული დატვირთვით ვაპირებ ასპარეზობას. მომავალში ბევრს ვივარჯიშებ და, იმედია, იმ წლიდან ისევ ძველებურად ვითამაშებ." ამაზე ცუდი თამაში მართლაც ძნელია, მაგრამ თუ რეგრესი მაინც გაგრძელდა, იმედია, ანდრეს ქართუ 98-ის ორგანიზატორები ჩვენთან ასპარეზობას მაინც არ დაამადლიან.

სამაგიეროდ, კიდევ ერთმა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა — გერმანელმა ბორის ბეკერმა მის სანახავად გავსებულ ტრიბუნებს იმედები არ გაუცრუა თანამემამულე მარკ-კევინ გელნერსთან ორთაბრძოლისას. ბეკერი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში სისწრაფე ერთობ მოაკლდა, ნაკლს დიდი გამოცდილებითა და ჭკვიანური ტაქტიკით ანაზღაურებს. მან თავის უმცროს კოლეგას პირველ სეტში ორი ბრეიკი გაუხერხა, ერთი-ორჯერ თავისი ცნობილი ნახტომებიც გაჭიმა ბადესთან და მეორე ხელში მცირე წინააღმდეგობის მიუხედავად მატჩი მაინც იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე 6:2, 6:4. „მე და მარკი დევისის თასზე თამაშის დროს ერთად ვვარჯიშობდით, მისი სუსტი მხარეები კარგად მახსოვდა და საქმე ამან გამიადვილა. სასიამოვნოა, რომ დარბაზებში მაინც ვთამაშობ რიგიანად და ჯერჯერობით, ასე თუ ისე, ანგარიშგასაწევ ძალად ვრჩები" — თქვა თამაშის მერე ბეკერმა. მის შემცვლელად შეგულებულმა ახალგაზრდა გერმანელებმა კი განსხვავებულად იასპარეზეს. 20 წლის ნაკოლას კიფერმა სამ სეტში დამარცხა შვედი ტომას იოჰანსონი 6:3, 3:6, 6:1, 19 წლის ტომი ჰაასი კი ინგლისელ ტიმ ჰენმანთან ასევე სამ ხელში დამარცხდა 5:7, 6:3, 4:6, თუმცა, მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობაც ჰქონდა და [illegible]. ფრანგმა ფაბრის სანტორომ, რომელმაც გასულ უქმეებზე ლიონში თავისი პირველი ტურნირი მოიგო, ერთი კვირის განმავლობაში მეორედ დაამარცხა ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი 7:6 (8:6), 6:1.

**პირველი წრე: ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — პატ კეში (ავსტრალია) 6:2, 6:0; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 7:6 (7:3); მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:2, 6:3; პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 4:6, 6:1, 6:3; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 7:5, 4:6, 6:4; დავიდ პრინოშილი (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) 5:7, 6:4, 6:2; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:1, 6:4.**

მეორე წრიდან ტურნირში განთესილებიც ჩაებნენ, რომელთაგან პირველმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა — ამერიკელმა პიტ სამპრასმა ითამაშა. მას შემდეგ, რაც დიდი სლემის თასზე რაფტერთან ზედმეტი გარჯის გამო სამპრასმა მკლავი დაიზიანა, ერთი თვე შინ, ფლორიდაში მკურნალობდა. იძულებითი შვებულება პირველის თამაშს ძალიან დაეტყო — ბადესთანაც და უკანა ხაზზეც გამუდმებით ცდებოდა და მისი მეტოქის — მაგნუს გუსტაფსონის შესამჩნევი ნერვიულობა რომ არა, მატჩი ასე იოლად არ მორჩებოდა. სამპრასმა განსაკუთრებით მეორე სეტში აურია, როცა ჯერ დასაწყისში, მერე კი ხელის ბოლოს შვედს ორ-ორი ბრეიკ-პოინტი დაანება, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში გუსტაფსონმა ვერ ივარგა — მიღებებზე მაინც და მაინც მაშინ უცუდდებოდა დარტყმები. საბოლოოდ სამპრასმა 73 წუთში მოიგო 6:3, 6:4. ზუსტად იგივე ანგარიშით შვედმა იონას ბიორკმანმა (13) ჰოლანდიელი იან სიმერინკი დაამარცხა.

სამაგიეროდ, ამ დღეს მოთამაშე ყველა სხვა განთესილი პანტა-პუნტით გავარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაიხარეს თიხნარზე თამაშს მიჩვეულმა ესპანელებმა — ალექს კორეჩა (10) შვედ



პიტ სამპრასი

მაგნუს ლარსონთან დამარცხდა 2:6, 6:7 (5:7), თმებაზოტრილი ფელიქს მანტია (14) კი გერმანელ დავიდ პრინოშილთან 5:7, 4:6, რომელსაც წინა კვირამდე ზედიზედ თერთმეტ ტურნირში დაემთავრებინა ასპარეზობა პირველსავე წრეში. უიღბლო გამოდგა წლევანდელი შტუტგარტის პირველობა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის — ავსტრიელი ტომას მუსტერისთვისაც (12). ჰოლანდიელ პოლ ჰაარჰიუსთან ჩატარებული პირველი უფერული სეტის შემდეგ ავსტრიელმა უკანა ხაზზე თამაში ააწყო და მეორეში 5:2 დაწინაურდა, მაგრამ ნაადრევად მოდუნდა და მეტოქეს დაწევის უფლება მისცა, ტაი-ბრეიკზე იღბლიანი მაინც ავხტრიელი გამოდგა 7:3, თუმცა, ეს იყო და ეს — მერე კორტზე ისევ მარტო ჰოლანდიელი და ერთი მსაჯებთან მოწუწუნე საშუალო დონის ჩოგბურთელი დარჩნენ. ჰაარჰიუსმა 6:2, 6:7, 6:2 გაიმარჯვა.

**ავთანდილ სვანიძე**

სამხრეთი აფრიკის ქარრის თასი

BANKFIN CURRIE CUP

ნახევარფინალები. 18. 10

დასავლეთი კონცხი (ქეიფთაუნი, 1) 38 (20) (4ლ: ი. ფანვიკი, სმოლი, სკინსტადი, კრიპე; 3გ და 4ს: კუნი) — პაუტენის ლომები (იოჰანესბურგი, 4) 18 (12) (6ს: ი. რუ 5, ჯილინგემი)

ნატალი (დურბანი, 2) 22 (8) (3ლ: ქ. ფანდერვესტჰოიზენი, ა. ჟუბერი, ეპლფორდი; 2გ და ს: ჰონიბალი) — ნარინჯი (ბლუმფონტეინი, 3) 40 (21) (6ლ: სვონეპული, ი. პ. ფანვიკი, ა. ი. ფენტერი, ბადენჰორსტი, ჩ. ფანრენსბურგი, ერაზმუსი; 5გ: დებეერი)

## უცხოეთში რა გესაქმებათო

ზეგ ინტერნაციონალზმით ცნობილი ქეიფთაუნის „ნუველანდზე" ქარრის თასის ფინალია. ქვეყნის უსახელოვნესი სარაგბო პროვინცია დასავლეთი კონცხი ბურული ნაციონალიზმის კერა ბლუმფონტეინის ნარინჯს მასპინძლობს და თუ გაიმარჯვებს, 1989 წლიდან პირველად დაეუფლება ოქროს ჯილდოს.

ნაფინალევს ეროვნული გუნდი „ქურციკები" ევროპისკენ გაუტევს. ტურნეს პროგრამაში 5 ტესტია: იტალიაში, საფრანგეთში (ორი), ინგლისსა და შოტლანდიაში.

36-კაცა სატურნეო გუნდი უკვე შეურჩევია ახალ მწვრთნელ ნიკ მალითს. მოთამაშეთა ნახევარი ზეგინდელ ფინალში ითამაშებს. მათგან ათი ქეიფთაუნელია.

ნაკრებში პრინციპულად არ შეიყვანეს ინგლისის პირველობაზე მოთამაშენი: ყოფილი კაპიტანი ფრანსუა პინარი და 10 ნომერი ჯოელ სტრანსკი. მალითმა შენიშნა, იქაური რაგბის დონე ვერ მაკმაყოფილებსო.

ნიკო ვეფხვაძე



კონცხმა ჰაუტენში კიდევ დაალელოვა: ბობი სკინსტადს თომი ლუბშერმა ურქინა!

# დანიამაც ვერაფერი დაგვაკლო



1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი

შაბათი, 18 ოქტომბერი. კოპენჰაგენი. ფრედერიკსბერკის სტადიონი

## დანია 8:19 საქართველო

(8:11) (ლ, ს - 2ლ, 3ს). მსაჯი მიუირი (შოტლანდია)

საქართველო (რუს რუსეთის კლუბი, გ გუმარი, ქ ქორები, რ რუსთავის აზოტი, იტ იტალიის კლუბი, ყ ყოჩები, საფრ საფრანგეთის კლუბი): ნიკო იურინი რუს; მახო ურჯუკაშვილი გ, კახა ალანია ქ, პალიკო ჯიმშელაძე რ, არჩილ ქავთარაშვილი იტ; კახა მაჩიტიძე ყ, შოთა მოდებაძე გ — კაკო მაჭუტაძე ქ, მევლუდ მთიულიშვილი რ, ლევან ცაბაძე საფრ; გია რაფავა საფრ (ვიქტორ დიდებულიძე გ), ვანო ნადირაძე საფრ (ზაზა ლეჟავა ყ); გია ლაბაძე რუს, ზურაბ მჭედლიშვილი გ (კაპიტანი), ნიკა აბდალაძე რ

5:0 (4, ჯესპენსენი ლ); 5:5 (10, იურინი ლ); 5:8 (15, მოდებაძე ს); 5:11 (25, მოდებაძე ს); 8:11 (38, ანდერსენი ს); 8:14 (44, მოდებაძე ს); 8:19 (70, მჭედლიშვილი ლ)

გამარჯვებით დასრულდა ქართველების მორიგი სარაგბო ოდისეა. ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა" ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ შესარჩევი თამაშების საგაისო ნახევარს ქულათა მაქსიმუმით შეხვედროდნენ. ამას ისიც დაერთო, რომ ქართველთა მიერ ძლეულმა ხორვატიამ ერთობ მოულოდნელად ჩვენივე უმთავრესი კონკურენტი რუსეთი გააგორა და მასთან შეჯიბრში ორქულიანი ფორაც მოგვცა, თუმცა იმავდროულად თავადვე შეიქნა ქართველთა მეტოქე ორი გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში.

ჩვენი ბიჭები დანიიდან ორშაბათ ღამით დაბრუნდნენ და ხელს თამაშის ვიდეო-ჩანაწერიც ჩამოაყოლეს. რაგბის კავშირის ოფისში მისი ხილვის შესაძლებლობა ყველა მსურველს ქონდა. შანსი არც ჩვენ გაგვიშვია ხელიდან.

თამაში გარეუბნის ერთ მყუდრო, ოღონდაც საუკეთესოდ მოვლილ სტადიონზე გაიმართა. მის საცქერლად რამდენიმე ასეული ქომაგი შეიკრიბა, მაგრამ კასეტაზე მაინც ისმოდა სკანდინავიური ყაყანი. რაც შეეხება კარებს, მასპინძლებს ბალახის ჰოკეისა გადაეკეთებინათ რაგბისად და ისინიც ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა.

ბარემ აქვე მოვითავოთ დანიური სტუმართმოყვარეობის შეფასება. კავკასიური არხეინობის გამო ჩვენებს შინ დავიწყნოდათ ბურთის მიწაზე დასადები რგოლი, დანიელებს კი თავიანთი ჩვენებისთვის ვერ ემეტებოდათ. ამის გამო ქართველთა 12 დარტყმიდან მხოლოდ სამი გამოდგა შედეგიანი, მაგრამ ვერც იქაურებს არგოთ მათმა „ქიქინგ თიიმ": 6 ცდით ერთადერთი გოლი გაიტანეს.

კომიკური ყოფილა მატჩისშემდგომი ბანკეტიც. ჩვენები სტუმრებს რომ გადაუყვებიან და ქორწილივით ლხინს გაუმართავენ, ახალი ამბავი როდია. ქართველთაგან განსხვავებით ვიკინგთა შთამომავლები საკმაოდ კრიჟანგები გამომდგარან და სტუმრები თითო ბუტერბროდსა და ბოთლ ლუდზე გადაუტარებიათ. და კიდევ, როცა „რაფოს" (რაფავას) მოლში ნეკნი ჩაუტეხეს და ჩვენი გოლიათი უმწეოდ წაიქცა, ტრიბუნებზე შეკრებილმა ხალხმა დაშავებულს დაცინვა დაუწყო. ამაზე ქართველები გაწყრნენ და მასპინძლებს საქმე სახელდახელოდ გაურჩიეს.

დანია ხორვატიაზე სუსტი მეტოქე გამოდგა. ჩვენები მასპინძლებს თამაშის ყველა კომპონენტში ჯობდნენ და შეუძლებელიც იყო, ბოლოსდაბოლოს რომ არ გაემარჯვათ. და მაინც, სულ თავიდან დანიელები დაწინაურდნენ, როცა ვეება ველინგთონელი (ახალი ზელანდია) ჩაფხუტოსანი ფლანკერი მაიქლ ჯესპერსენი (დანიურად იესპენსენი) ახლოდან მიუშვეს ჩვენს 9 ნომერზე.

ანგარიში მალე გაყაიმდა: შერკინებიდან აბდალაძემ შეუტია, მოდებაძემ ლელოში დიაგონალურად შეაგორა ბურთი და იურინმა დაამიწა. „ბეირუთა" ამ დღეს ნაკრებში მე-11 ტესტს მართავდა და მეშვიდედ ისახელა თავი: მოედნიდან უქულოდ არ გასულა.

აქედან მოყოლებული თამაშის ბოლომდე თითქმის სულ „ბორჯღალოსნები" უტევდნენ. „სტეჩკინამ" (ქავთარაშვილმა) რამდენჯერმე გაინავარდა კიდეზე, ერთხელ იურინიც ჩაერთო იერიშში, მაგრამ უჩვეულო კარმა და მიწაზე დაყენებულმა ბურთმა ქართველებს ბევრით დაწინაურების საშუალება არ მისცა.

ფრიადი ბურთაობა არც მეორე ნახევარში ყოფილა. ჩვენები 6 ქულას რომ იგებნენ, კიდევ ერთმა ექს-ზელანდიელმა — იენ ანდერსენმა ზედიზედ ორი საჯარიმო გააფუჭა. მერე იყო კიდევ ერთი მონაკვეთი, როცა დანია ვითომც ათამაშდა და მოგვეძალა, მაგრამ ქართველები ვიკინგებს ისე მედგრად დაუხვდნენ, რომ ამათ წინ საერთოდ ვერ წაიწიეს, გათამაშებული საჯარიმოს შემდეგ კი უმალ დაკარგეს ბურთი. დაცვის ასეთი ორგანიზაციისთვის „ბორჯღალოსნები" ერთხმად ემადლიერებიან ფრანგ კონსულტანტ კლოდ სორელს. და კიდევ, შეტევაშიცა და დაცვაშიც შესანიშნავად ითამაშა პალიკო ჯიმშელაძემ.

მასპინძლებს საქართველო — ხორვატიის ვიდეო გაერჩიათ და ქართველთა დერეფნის გასაქარწყლებლად გეგმაც დაესახათ, მაგრამ ამაოდ. „პანკრაშკინა" (მჭედლიშვილი) ორი ხელით იგებდა ბურთს, მორკინალები კი მერე მოლით უტევდნენ. გადამწყვეტი ლელოც ასე გავიდა: ჭაჭგურის შემდეგ კაპიტანს მთიულიშვილი ჯანიანად მიაწვა და ხაზს იქით გადაღწევა უშველა.

ზაზა ფხაკაძე

საქართველოს პირველობა

უმაღლესი სტადია

ა ჯგუფი

## ზეგ განახლდება

ქვეყნის საიუბილეო, XXX პირველობა. მსოფლიო თასისთვის მზადების გამო სექტემბრის დამლევს ერთი ტური გადაიდო. ამიტომაა, რომ პლეი-ოფამდე დარჩენილი პროგრამა ერთი სათამაშო ციკლით ჩაიჩოჩებს, თამაშთა რიგი კი იგივე დარჩება.

შაბათ-კვირას თბილისში სამი მატჩია. „ყოჩები" უმასპინძლებს „აზოტს", „გუმარი" — „აიას". მესამე წყვილში „ქორები" და ასკ ითამაშებენ.

| (რჩება ნთ) | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 16 | 14 | 1 | 1 | 418:173 | 49-15 | 29 |
| აზოტი (რ) | 16 | 12 | 1 | 3 | 308:190 | 39-13 | 24 |
| ქორები | 16 | 8 | 1 | 7 | 294:219 | 32-12 | 17 |
| აია-პეი (ქ) | 16 | 9 | 0 | 7 | 257:252 | 30-25 | 17 |
| გუმარი | 16 | 6 | 1 | 9 | 284:268 | 33-26 | 11 |
| ასკ | 16 | 3 | 0 | 13 | 162:410 | 20-63 | 6 |

პლეი-ოფში ოთხი მოწინავე გადის

ბ ჯგუფი

1. 10. ვაკე: შევარდენი 15 (8) (2ლ, გ, ს) — დინამო 10 (3) (ლ, გ, ს); III მასივი: უნივერსიტეტი 18 (6) (2ლ, გ, 2ს) — თბილისი 5 (0) (ლ)

8 ოქტომბრის ტური წვიმის გამო ჩაიშალა. თბილისს შევარდენთან მიესაჯა წაგება, უნივერსიტეტს — დინამოსთან

15. 10. III მასივი: დინამო 23 (20) (2ლ, 2გ, 3ს) — თბილისი 14 (0) (2ლ, 2გ); უნივერსიტეტი 10 (7) (ლ, გ, ს) — შევარდენი 7 (7) (ლ, გ)

| (რჩება 1თ) | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 11 | 10 | 0 | 1 | 218: 69 | 33- 6 | 20 |
| დინამო | 11 | 5 | 2 | 4 | 124:141 | 12-15 | 11 |
| უნივერსიტეტელო | 11 | 4 | 2 | 5 | 152:186 | 14-22 | 9 |
| თბილისი | 11 | 1 | 0 | 10 | 93:191 | 8-24 | -1 |

გოლფი

## აფრიკული რევანში

სამხრეთი აფრიკა გოლფში 1991 წლის ალფრედ დანჰილის თასზე დაბრუნდა. ჯეელ დევიდ ფროსტს მაშინ მხარი დიდებმა — გერი პლეიერმა და ჯონ ბლანდმა დაუმშვენეს, მაგრამ „რასისტებმა" ფინალი მაინც წააგეს შვედეთთან 1:2.

რევანში კვირას, ექვსი წლისთავზე შედგა. ფროსტი გუნდში ამჯერად უკვე უხუცესი იყო. ფინალში ვერც ივარგა, მაგრამ ჯეელებმა — სამატჩო გოლფის კარუზო ერნი ელსმა და რეტიფ ჰუუსენმა შვედები თავიანთ მატჩებში ძლიეს. ბედნიერი ფროსტი სიხარულით ჯერ დამუნჯდა, მერე ატირდა.

ჰუუსენმა სასწაულად ითამაშა — ოთხდღიან შეჯიბრში ხუთივე მატჩი მოიგო. თასი ტრადიციისამებრ სენთ-ენდრიუზში (შოტლანდია) გათამაშდა და საპრიზო ფონდად ერთი მილიონი გირვანქა ქონდა.

მე-13 ალფრედ დანჰილის თასი

ა ჯგუფი: აშშ (1 განთესილი) 3 მოგება; ინგლისი (8), არგენტინა და იაპონია თითო. ბ ჯგუფი: შვედეთი (5) 3; საფრანგეთი 2; ავსტრალია (4) 1; ტაივანი. გ ჯგუფი: სამხრეთი აფრიკა (3) 3; შოტლანდია (6) 2; ირლანდია 1; გერმანია. დ ჯგუფი: ახალი ზელანდია (7) 3; ზიმბაბვე (2) 2; ესპანეთი 1; სამხრეთი კორეა

ნახევარფინალი: შვედეთი — აშშ (ომირა, ლენარდი, ფექსონი) 2:1; აფრიკა — ზელანდია (ლონგი, ოლქერი, ნობილო) 2:1

ფინალი: აფრიკა — შვედეთი 2:1 (პარი 72: რეტიფ ჰუუსენი 70 — იესპერ პარნევიკი 74; დევიდ ფროსტი 74 — პერ-ულრიკ იოჰანსონი 71; ერნი ელსი 69 — იოაკიმ ჰეგმანი 72)



ელსი, ჰუუსენი და ფროსტი შოტლანდიურ სიმაგრესთან აფრიკის ჭრელ დროშას აფრიალებენ

ასოშიეითიდ პრესი სენთ-ენდრიუზიდან

აფროსნობა

## რომ აღარ ვირწევი, მეხამუშებაო!

დაგეგმილზე ერთი დღე-ღამით ადრე უწია „ზღვათა სამიკიტნო" ქეიფთაუნს (სამხრეთი აფრიკა) ბოლო კვირის ლიდერმა „ი-ეფ ლენგვიჯმა". სამშაბათ დილით, გრინვიჩის დროით 05 საათზე, 54 წუთსა და 26 წამზე ყვითელი სპინაკერის მოფრიალე ნავი შევიდა თეიბლ-ბეიში და 1985 წელს ამერიკული მაქსი-იახტა „იუ-ბი-ეს"-ის რეკორდი სამ დღე-ღამეზე მეტით გააუმჯობესა. ახალი მიღწევა 30 დღე-ღამე, 16 საათი, 54 წუთი და 26 წამია.

მავანი იტყვის, „ლენგვიჯს" ფრიად გაუმართლა, სასწაულად ძლიერ ზურგქარში რომ მოუვა და ფინიშსაც მისი შემწეობით მიატანაო. ამაზე ნავის სკიპერ პოლ კაიარდს, ოლიმპიადებზე და „ამერიკის თასებზე" რომ უნაოსნია, მაგრამ „ვითბრედში" პირველად მონაწილეობს, განსხვავებული აზრი აქვს. აკი ფინიშზე საგანგებოდაც გამოყო მეგობარი და თანაშემწე, ალღოიანი ნავიგატორი მარკ რუდიგერი, ვინაც ბრაზილიურ კუნძულ ტრინიდადეს გავლის შემდეგ გარისკა, გეზი მეტოქეებზე სამხრეთით დაიჭირა, ნავი დაბალი ატმოსფერული წნევის ფრონტში მოაყოლა და ფინიშზე ფრენა-ფრენით მიიყვანა.

კაიარდი ქეიფთაუნის სანაპიროზე რომ გადახდა, შთაბეჭდილებები უხვად გაუზიარა მედიას. თავდაპირველად შენიშნა, რალაც არა მჯერა, უკვე ფინიშზე რომ ვართ. სკამზე ურწევლად რომ ვზივარ, ცოტა არ იყოს, კიდეც მეხამუშებაო.

სკიპერმა მეტად აქო ეკიპაჟი, ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ, მუხლჩაუხრელად ირჯებოდნენ, მეტადრე მაშინ, როცა ლიდერ „ინოვეიშენს" კვალში ვედეგითო. ურთულესად პორტუგალიის სამფლობელო მადერასთან შენახვედრი პირობები შერაცხა კაიარდმა. იქ თურმე ხან საშინელი გრიგალი ამოვარდებოდა და ნავს აზრიალებდა, ხან კი ქარი მთლად ჩადგებოდა.

ზღვის მგელ კაპიტანს პირველ სტადიაზე შიშიც ბევრჯერ უჭამია, მაგრამ სხვებზე მწარედ ეს შემთხვევა გაახსენდა: რუდიგერის გამჭრიახობის წყალობით იახტა 40-კვანძა ქარში რომ მოხვდა, ვინმეს დედა-აფრის გაჭიმვა ხომ უნდა ეთავა და კანადელი ქერთის ბლუითიც ანძის კენწეროზე იმ საშინელ ქარში დაეკიდა.

მიხო ნინუა



გარსაქვეყნო ნაოსნობის ახალბედა სკიპერის, ამერიკელი პოლ კაიარდის ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა შვედური ნავით სტადიის რეკორდიც გააუმჯობესა

ასოშიეითიდ პრესი ქეიფთაუნიდან

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

I სტადია. საუთჰემპთონი — ქეიფთაუნი

21 სექტემბერი — 22 ოქტომბერი (7350 მილი)

ვითარება ფინიშამდე, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | პ. კაიარდი (აშშ) | 0 |
| მერით ქაფ | მონაკო | გ. დოლთონი (ზელ) | 160.1 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | კ. ფროსტადი | 167.7 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | ლ. სმითი | 424.7 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | ჯ. ოლსოპი | 675.8 |
| ტოშიბა | აშშ | ქ. დიქსონი (ზელ) | 773 |
| ემერიქაზ ჩელენჯ | აშშ | რ. ფილდი (ზელ) | 819.1 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | გ. კრანცი | 935.1 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | კ. გიუ (ქალი, საფრ) | 1142.4 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | ჰ. ბუსხოლცი | 1267.5 |

ი-ეფ ლენგვიჯ: პოლ კაიარდი (აშშ, სკიპერი), მარკ რუდიგერი (აშშ, ნავიგატორი), ჯოშ ბექსქაი (აშშ), ქერთის ბლუითი (კანადა), მარკ ქრისთენსენი (ახალი ზელანდია), ჯასთინ ქლაფერი (ავსტრალია), სთივ ერიქსონი (აშშ), კლას ნიულოფი (შვედეთი), მაგნუს ოლსონი (შვედეთი), რიკ თომლინსონი (ბრიტანეთი), კიმო ვორსინგთონი (აშშ). დიზაინერი „ბრუს ფარრ ენდ ესოსიეითს"; მშენებლები: რიჩარდ გილისი და თიმ სმაითი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29